რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ღირს. ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ., ექვსი თვით 27 მ., ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. [illegible] არ იბეჭდება, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისათვის ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 31 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 31

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

საზოგადოებრივი თავდაცვის კომისია სთხოვს ყველა ამხანაგებს დაესწრან მოკლულ წითელ გვარდიელის
ამხ. ალი ისმაილ-ოღლის
დაკრძალვას.
მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან დღეს ხუთშაბათს 8 თებერვალს დილის 9 საათზე.

მწუხარებით გულ-მოკლული მეუღლე შუშანიკა, შვილები: ვარო, შაქრო, კოლა, გიგუა და მარო, ძმები: პეტრე და სერგი ზუბიევები და დაი კატო ზუბიევისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი
ივანე სტეფანეს ძე ზუბიევის
გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ხუთშაბათს 8 თებერვალს დილის 9 საათზე. მიცვალებულს წაასვენებენ გრიქურ-საუჯის ეკლესიაზე. დაკრძალვა მოხდება ხოჯევანქში (2—2)

4 თებერვალს ღამით მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
სტეფანე ანდრიას ძე ნასყიდოვი
რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს მწუხარებით გულ მოკლული მეუღლე სალომია გრიგოლის ასული თავის შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. მიცვალებულის სახლში (დიდიმთავრის ქ. № 113) გამოთხოვების დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი 8 თებერვალი. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზე. წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში, დაკრძალვა კი მოხდება კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—2).

ორშაბათს 12 თებერვალს ლანჩხუთში ნათლისმცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
მარიამ სტეფანეს ასულის ჯაფარისა
სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ქმარი სპირიდონ იესეს ძე ჯაფარიძე, შვილები: საშა, ოლღა, ლიზა და ევგენია, შვილის შვილები: ჟორჟიკა, მარო, დათიკო და კოწია ვოლსკები, სიძეები: კირილე ჭყონია, ავთანდილ ჭყონია და კოწია ჭუბაბრია.

კავკასიის ებრაელ ჯარის-კაცთა
კავშირის საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე ცნობების მიღება
ებრაელთა სამხედრო ნაწილების
შედგენის შესახებ შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე (ბელგიის ქუჩა № 8)
კავკ. ებრაელ ჯ.-კ. კავშირის საოლქო კომიტეტი.

კოოპერატივებო
და
კოოპერატორებო,
დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.
საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

## ახალი ომის წინაშე

[illegible] ახალი ომის დაწყება. პირველი ნიშნავს იმპერიალისტთა ხელის შეწყობას და მით ბალშევიკების მიერ მთელი თავისი პრინციპების უკუგდებას. მარა ბალშევიკებს არ შეუძლიათ არც მეორე გზის არჩევა. ეს იქნებოდა თავისი ლაშქრის —ჯარისკაცების გადამტერება და მით სახელმწიფო ძალა-უფლების ხელიდან გაგდება. ცნობილია, რომ პეტროგრადის გარნიზონმა მიიღო დადგენილება, რომ ტროცკის გენერალ დუხონინის ბედი მოელის, უკეთუ ზავი არ ჩამოაგდო და სრული დემობილიზაცია არ გამოაცხადა. ბალშევიკები ხომ შეუგნებელ ჯარისკაცთა კარნახს მისდევენ; მთელი მათი მოქმედება მოქანცულ მხედართა სურვილთა ასრულებაა. და აი ასეთ პირობებში ბალშევიკებმა ორივე გზა უარყვეს: არც საზავო წინადადება მიიღეს და არც ომის გაგრძელება იკისრეს და ჯარის სრული დემობილიზაცია გამოაცხადეს.

და აი მთელი ფრონტი საბოლოოთ დაცარიელდა და სახლისაკენ ის ჯარისკაცებიც დაიძრენ, რომელნიც ჯერ კიდევ გამსჭვალული იყვენ რევოლიუციის წინაშე პასუხისმგებლობით და ფრონტის თავისი ნებით დატოვებას ღალატათ აღიარებდენ. ფრონტი გატიტვლდა. გერმანელ იმპერიალისტთა ოცნება განხორციელდა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის მმართველ წრეებისათვის აშკარა შეიქნა, რომ ომი მეტათ ხანგრძლივი გამოდგა, ისინი თავის იმედებს რუსეთის მოქანცვაზე ამყარებდენ. გენერალი ჰინდენბურგი იმეღოვნებდა, რომ „რუსთა ნერვები“ ამდენ უბედურებას ვერ გაუძლებს და მით გამარჯვება გერმანიისთვის უზრუნველყოფილი იქნება. ბალშევიკების მთავრობამ მთელი თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო ჰინდერბურგების პლანის განხორციელებას.

და აი გერმანიის ჯარმა შემოტევა დაიწყო. ის კოველის მიმართულებით დაიძრა და ალბათ კიევისაკენ მიემართება. რუსეთის ხალხი უძლურია ამ პირობებში გერმანელთა ჯარს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. აკი ფაქტიურათ რუსეთში ჯარი აღარ არსებობს, გერმანიის იმპერიალისტებს საშვალება ეძლევა რუსეთის საუკეთესო ადგილები დაიპყრას და ძალით შეიერთოს.

ჩვენ არ ვიცით, რა გზას დაადგება ლენინის მთავრობა. ერთი აშკარაა: ის სავსებით უძლურია არსებულ პირობებში რუსეთის დემოკრატიის ინტერესები თუნდაც რამდენიმეთ დაიცვას. ბალშევიკთა მთელი მოქმედება—ეს იყო ღალატი რუსეთის რევოლიუციის წინაშე. და აი დღეს თვით ერის ფიზიკური არსებობა საფრთხეში ჩავარდა. ამ საფრთხის ასე თუ ისე თავიდან აცილება მოითხოვს ლენინ-ტროცკების ალაგმვას და მათი მოღალატური პოლიტიკის სასტიკათ დაგმობას.

განსაკუთრებით სახიფათო გამოდგა ბალშევიკთა პოლიტიკა ამიერ-კავკასიისათვის. მათი წყალობით ფრონტი სავსებით დაცარიელდა. და აი ოსმალეთის ჯარმა ისარგებლა ასეთი მდგომარეობით და წინ მოიწევს. კავკასიის დემოკრატია ვალდებულია მთელი თავისი ძალღონით შეეცადოს ზავის დაუყონებლივ ჩამოგდებას და ახალი საფრთხის თავიდან აცდენას. მარა სანამ ეს არ მომხდარი, სანამ ოსმალეთი აგრესიულ განზრახვებზე ხელს არ აიღებს, ჩვენი დემოკრატია მოვალეა მთელი თავისი ძალღონით შეეცადოს შეიარაღდეს და მომხდურთ შესაფერი პასუხი გასცეს.

ამ დღეებში ახალგაზდების ჯარში გაწვევა მოხდება. ყველა მოვალეა შეასრულოს თავისი ვალი რევოლიუციის წინაშე და ხალხი ფიზიკური საფრთხისაგან დაიცვას.

შეიარაღდით! დაიცავით რევოლიუცია ხიფათისაგან!

## რეფორმები

### 1. ერობა.

ხშირათ გაისმის საყვედურის ხმა: ამიერ კავკასიის მთავრობამ, რომელსაც მენშევიკები მეთაურობენ, ხალხს არაფერი არ მისცა, არც ერთი საჭირო რეფორმა მას არ განუხორციელებიაო.

ამ საყვედურში ერთი რამ არის სწორი. ეს არის საქმის ფაქტიური მხარე. მართლაც, ორი უმთავრესი საკითხი ჯერაც არ არის დაგვირგვინებული: ეს არის მიწის საკითხის მოგვარება და ერობის შემოღება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უკიდურეს მოთხოვნების წამოყენება და ბრალდებების დასმა კიდევ არ ნიშნავს რევოლიუციონურ მოღვაწეობას. აბა ვინ იტყვის, რომ ამ მხრით ვინმეს შეეძლოს ბალშევიკებს შეედაროს. ბალშევიკებმა ყველაზე უფრო უკიდურესი მოთხოვნები წამოაყენეს, ხალხს გაკეთებას დაპირდენ, მაგრამ სინამდვილეში ცხოვრების სრულს არევ-დარევას მიახწიეს. ზავის მაგიერ მათ სამოქალაქო ომი გააჩაღეს და თუ გერმანიის ბურჟუაზიის წინაშე მონურათ ქედი მოიხარეს, სამაგიეროთ უკრაინას და რუსეთის სხვა ნაწილებს გამოუცხადეს ბრძოლა.

ამიტომ არაფერი არ არის ისე საჭირო, როგორც სინამდვილის გაგება, ჩვენი სისუსტის აწონ-დაწონვა და სწორი დაფასება. სინამდვილე კი შემდეგს გვეუბნება: ჩვენი რევოლიუციონური მთავრობა ხელს უწყობს ცხოვრების გარდაქმნას დემოკრატიის სასარგებლოთ, მაგრამ თვით ეს გარდაქმნა დემოკრატიამ უნდა მოახდინოს საკუთარ ძალებით, საკუთარ ორგანიზაციების შემწეობით. თუ ასე შევხედავთ საკითხს, ჩვენ მხოლოდ ერთად ერთს დასკვნას მივიღებთ: თუ მიწის საქმე კიდევ მოეწყობოდა, თუ ერობა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, ეს აიხსნება ადგილობრივ ორგანიზაციების სისუსტით და თაოსნობის უქონლობით.

დროა ამას ბოლო მოეღოს, დროა ამიერ-კავკასიის დეკრეტი მიწების შესახებ საჩქაროთ იქნას გატარებული ცხოვრებაში. ამიერ-კავკასიის მთავრობამ შეიმუშავა რეფორმების გეგმა, მან საქვეყნოთ იცნო, რომ მიწა მშრომელ გლეხობისაა. დემოკრატიამ კი ადგილობრივ უნდა გაატაროს ცხოვრებაში ეს დეკრეტი. დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს მიწის ნორმა, ესე იგი უნდა გადაწყდეს რამდენი მიწა შეიძლება დარჩეს მემამულის ხელში და რამდენს ზევით უნდა იქნას ჩამორთმეული. ცხადია, ეს ჩამორთმეული მიწები კერძო პირებმა კი არ უნდა დაიტაცონ, ეს მიწები უნდა გადავიდეს ადგილობრივ ორგანიზაციების ხელში. ამისთვის უნდა შექმნილიყო საადგილ-მამულო კომიტეტები. ხოლო როცა ერობა შემოვა, საადგილ-მამულო კომიტეტები უქმდება და მისი საქმეები ერობას გადაეცემა.

ერობას სხვა მრავალი საკითხებიც ექნება გადასაწყვეტი: სკოლების მოწყობა, გზების გაყვანა, საავათმყოფოების აგება, ადმინისტრაციის მოწყობა, მოსამართლეების არჩევა, სასურსათო საქმის გაძღოლა და მრავალი სხვა საქმეები—აი რა უნდა დაეკისროს ერობას.

ერობის მაგიერობას დღეს აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ, მაგრამ ამ კომიტეტებს არ აქვს ერობის ბევრი უფლებები. აღმასრულებელი კომიტეტები მოკლებულნი არიან უფლებას გადასახადების განაწილების, მოსამართლეების არჩევის და სხვ.

ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ერობის მოწყობას. სიები უკვე შედგენილია—ეს ის სიებია, რომელნიც დამფუძნებელ კრების არჩევნების შემდეგ დარჩა. მას შემდეგ თუ ვინმე ახალი პირი დაბრუნდა სოფლათ, იმის შეტანა სიაში არჩევნების დღეს შეიძლება, ამისთვის საჭიროა ეს ახალი პირი საარჩევნო ადგილებში გამოცხადდენ.

ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? ისევ იმ ორგანიზაციებმა, რომელნიც დღეს ერობის სათავეში დგანან. საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბნენ და საქმეს შეუდგენ. დაყოვნება შეუძლებელია.

## სამოქალაქო ომი

ძმათა შორის სისხლის ღვრას ჩვენში დღემდე ადგილი არ ქონია. ჩვენი მუშათა კლასი ყოველ საშვალებას ხმარობდა, რომ შინაურ ომით მოზღვავებულ სისხლის მორევში არ ჩამხრჩვალიყო წამებით მოპოვებული თავისუფლება.

ბალშევიკებმა კი ყოველი ღონე იხმარეს აქაც ანარქიის გასაჩაღებლათ. დღემდე ისინი ამ მიზნით ფრონტიდან მომავალ რუსის ჯარში ეწეოდენ პროვოკაციულ აგიტაციას და მათ თფილისის ასაღებათ უწოდებდენ. ჩვენი ამხანაგების გონივრულმა მოქმედებამ და მუშათა კლასის ფხიზელმა დარაჯობამ გვიხსნა ამ განსაცდელისაგან. მიუხედავათ განჯის ამბებისა, რომელშიაც ბალშევიკურ პროვოკაციას და მათ მოკავშირე თათრის ბეგებს დიდი როლი აქვთ ნათამაშევი, თფილისი და ამით მთელი დასავლეთ კავკასია დღემდე გადარჩა სისხლის დაღვრის საშინელებას.

მარა თფილისში დამარცხებულმა ბალშევიკებმა თავის უმსგავსი აგიტაცია სამაზრო ქალაქებში გადაიტანეს და პირველათ მათი აგიტაციის მსხვერპლათ ქ. გორი შეიქნა.

ვინც ბალშევიკების „ბრძოლას“ თვალყურს ადევნებს, შენიშნავდა, რომ 2—3 თებერვალს იქ ბალშევიკების დემაგოგებმა მიტინგები გამართეს და ჩამოსულ ჯარისკაცებს მოუწოდებდენ სახალხო კომისარების სასახელოთ ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ იარაღით გამოსულიყვენ. მათი დემაგოგიით გატაცებულმა ჯარისკაცებმა და ზოგიერთმა მცხოვრებლებმა გორში ამის შემდეგ მოისურვეს თავის ნება-სურვილის მთელი მცხოვრებლებისთვის თავზე მოხვევა და ამ მიზნით, ხალხის, დემოკრატიის უმრავლესობისაგან უარყოფილებმა იარაღს მიმართეს.

ადგილობრივ შემდგარი წითელი გვარდიელები, ეს რევოლიუციური რაზმი, წესიერების დასაცველათ ქუჩაში გამოვიდა და ანარქიით გათამამებულ ხულიგანურ ელემენტებს დევნა დაუწყო. უწესოების მოხდენისათვის დაატუსაღეს 20-მდე კაცი.

ერთი ასეთი, ექსცესების ჩამდენი ადგილობრივი ჯარის აფიცერი გამოდგა. ამ ვაჟბატონმა, ქუჩაში რევოლვერის ტრიალი და სროლა არ მოიშალა. წითელ გვარდიელებმა ის დაატუსაღეს და კომისარიატში გაგზავნეს. აფიცერი აქაც არ დაწყნარდა და ერთი ალიაქოთი ასტეხა. მას ეჭვი არ არის პროვოკაციული მიზანი ჰქონდა, რასაც მიაღწია კიდეც. მალე მოვიდენ სალდათები და მისი განთავისუფლება მოითხოვეს. ნახევარ საათის შემდეგ კი თავის თხოვნას იარაღი მოაყოლეს. სამხედრო წესით დარაზმულნი მიადგენ კომისარიატს და ტყვიები დაუშინეს.

ამნაირათ ასტყდა ძმათა შორის ბრძოლა. საზიზღარმა პროვოკაციულმა მოქმედებამ ბალშევიკებისამ უკვე იმსხვერპლა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე. ჯარისკაცებმა, რომელნიც მოქალაქეთა ინტერესებს უნდა იცავდენ და ქალაქში წესიერების დარაჯათ გამოდიოდენ, მათი წყალობით, თვით აიღეს იარაღი ხელში ქალაქის მცხოვრებთა და წითელ გვარდიის წინააღმდეგ.

შეუძლებელია შესაფერათ დახასიათება ამ უმაგალითო ბოროტმოქმედების, რომელიც ამ შემთხვევაში პროვოკაციამ ჩაიდინა.

ჩვენ მივმართავთ ყველა ადგილობრივ მუშებს, ყველა წრფელ და პატიოსან დემოკრატს განურჩევლათ პარტიულ რწმენისა დააფასონ ეს უსაშინელესი ბოროტება ბალშევიკებისა. მუშები ვალდებული არიან ალაგმონ ეს თავზე ხელაღებული ავანტიურისტები, რომელნიც ძმის სისხლში ისვრიან ხელს. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა შეგნებულ ჯარისკაცს დაჰგმონ ასეთი საქციელი, ასეთი გაუკუღმართება ჯარისკაცის დანიშნულების. ნიკოლოზ მეორე სისხლიანი ხმარობდა ჯარს შინ ხალხის დასარბევათ. ნიკოლოზ მეორემ შეაჩვია ჯარი ხალხზე იარაღით ბატონობას. დემოკრატია მოითხოვს ჯარი მის ინტერესებს ემსახურებოდეს, ხალხის არჩეულ-ნდობით აღჭურვილ პირებს მხარს უჭერდეს. ნაძირალებისაგან და ქურდ-ბაცაც-ყაჩაღებისაგან საზოგადოებას იცავდეს და არა ხალხს ებრძოდეს და დემოკრატიას თავის ნების გამოხატვას და თავის დემოკრატიულ მისწრაფებებს უხშობდეს.

ჩვენ როცა ამას ვწერთ, არ ვიცით, რით გათავდა ეს საზარელი ბრძოლა: არ ვიცით შეწყდა თუ არა პირსისხლიანი ომი შინაურ ფრონტზე, მაგრამ ჩვენი სურვილია იგი შეწყდეს; ჩვენი მოწოდებაა—დემოკრატიამ შეიგნოს მთელი ბოროტება ასეთ მოქმედების, რომელსაც ბნელი ძალები შეხარიან.

შავრაზმელები ხითხითებენ მეფისტოფელივით, თავს დაგვჩხავიან ყორანივით და თავის გამარჯვების მოახლოვებას დღესასწაულობენ.

რეაქციას ნუ გავახარებთ ამხანაგებო! შევწყვიტოთ ეს ძმათა შორის ომი. ყოველმა ჯარისკაცმა, ყოველმა მუშამ უნდა აღიმაღლოს ხმა ამისთვის.

ძირს სამოქალაქო ომი დემოკრატიის შორის!

ძირს უაზრო სისხლის ღვრა!

გაუმარჯოს დემოკრატიის გაერთიანებას!

## პრესა

ბალშევიკების გაზეთი „ბრძოლა“ ისევ განაგრძობს თავაშვებულ ტრაბახს, ის ლანძღავს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ავრცელებს ტყუილს, ვითომ ჩვენ მუშების და გლეხების ამოხოცვა გვდომოდეს და შემდეგ რიხით აცხადებს: „პროლეტარიატი და მისი პარტია ბალშევიკების უძლეველი ალმოჩნდა“-ო.

მას შემდეგ, რაც ბალშევიკებმა გარეშე ფრონტი მოხსნეს, რუსეთი გერმანიის ბურჟუაზიას დაუთმეს და ბრძოლა შინაურ ფრონტზე გადმოიტანეს,—კიდევ შესწევთ მათ გამბედაობა თავის პარტიის უძლეველობაზე ილაპარაკონ. ასე ხომ ნიკოლოზის მთავრობაც ძლიერი იყო: იაპონიის მიერ სასტიკათ დამარცხებულმა, მან შინაურ მტრებზე, ხალხზე იყარა ჯავრი.

ბალშევიკებს მოსწონთ ასეთი „გამარჯვება“ და თვალთმაქცურათ ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო ომის გაჩაღებაზე სტირიან. „ბრძოლა“ განაგრძობს:

„სოროებში მიმალულმა ბნელეთის მოციქულებმა უკვე თავი წამოყვეს და შეუდგენ თავის საგმირო საქმეებს, ცხოვრების ნაძირალები მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მცხოვრებთ“-ო.

სოროებში მიმალულმა ბნელეთის მოციქულებმა რომ თავი წამოყვეს, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ რატომ „ბრძოლა“ არ ამბობს, ვინ არიან ეს ბნელეთის მოციქულები? რა კი „ბრძოლა“ ხალხს უმალავს, ჩვენ ვეტყვით: ეს ბნელეთის მოციქულებია შაუმიანი და კუზნეცოვი, რომლებიც გადაცმული დაძრწიან მიმავალ ეშელონებში და თფილისზე წამოსასვლელათ აქეზებენ, ეს ბნელეთის მოციქულებია თევდორე კალანდაძე და სხვები, რომელნიც ჯარის ნაწილებს წითელ გვარდიის წინააღმდეგ ამხედრებენ.

დასასრულ „ბრძოლა“, რაკი მან გული იჯერა ტყუილების გავრცელებით (სხვათა შორის ეშელონებზე ყაჩაღების დაცემაც ჩვენ დაგვაბრალა) ასე ახასიათებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: „ის ჰაერშია გამოკიდებული, მას არ სცნობს არც ერი და არც ბერი, მას არავინ არ ემორჩილება, ის უძლურია“-ო.

რა უნდა უთხრათ ასეთ ხალხს?

ჩვენ გვგონია, რომ ბალშევიკებისთვის თვალსაჩინო გაკვეთილის მიცემაა საჭირო—მართლაც რამდენ უმსგავსო რამეს ჩადიან ეს ვაჟბატონები, და როცა ამისთვის დაუსჯელი რჩებიან, ფიქრობენ მთავრობა უძლურიაო.

დროა, კომისარიატმა დაანახოს ბალშევიკებს, რომ ხულიგანებთან ბრძოლაში ის ძლიერია.

* * *

„საქართველო“ აღნიშნავს, რომ:

„ამ ჟამათ ქართველ ერს არ ჰყავს მთავრობა. ამის საშინელ შედეგებს დღეს მთლათ ვხედავთო“. ამისთვის „საქართველო“-ს აზრით „ეროვნული საბჭო დაუყონებლივ უნდა აღიჭურვოს ეროვნული უფლებებით და შექმნას დროებითი ეროვნული მთავრობა“-ო.

მკითხველი იკითხავს: სოციალ-დემოკრატია ხომ ერთათ ერთი დამცველია ყველა მშრომელის და ტვირთ მძიმესი, ეს ხომ ეროვნულ ჩაგვრასაც ყველა სხვა პარტიაზე უფრო გაბედულათ ებრძვის. მაშ რაღა „საქართველოში" მოკალათებული ბურჟუაზია ცდილობს გამოვიდეს ეროვნულ მთავრობის დამცველათ. ამის პასუხს თვით „საქართველო" იძლევა. ის სწერს:

„მხოლოდ ეროვნულს მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა მთელს ქართველს ერს, შეუძლია მოიპოვოს ის ძალა და ავტორიტეტი, ურომლისოდ არ დამყარდება ჩვენში წეს-რიგი, მშვიდობიანობა და პიროვნების ხელუხლებლობა და თავისუფლება"-ო.

სწორეთ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. **„საქართველო"-ს სათაყვანო მთავრობა უნდა დაემყაროს მთელს ქართველს ერს.**

ერთი გვიბრძანოს „საქართველო"-მ: როგორ შესძლებს მთავრობა თუნდაც გლეხებისთვის მიწის მიცემას, თუ ეს მთავრობა მთელს ერს დაემყარება,—ესე იგი თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, ჩინოვნიკობას და სხვ.

ასეთია „საქართველოს" იდეალები.

## სადღეისო კითხვები

**ჯარი და დისციპლინა *).**

ამ დღეებში გამოვიდა ბრძანება, რომლის თანახმათ უნდა გამოცხადდენ სამხედრო სამსახურში, ექვსი თვის ვადით, 19 წლის ახალგაზრდები და აგრეთვე უნდა დაბრუნდენ ჯარში წინეთ გაწვეულნი 25 წლიანამდე.

იმ დროს, როცა ისეთი ცეცხლის რგოლი გვერტყმება გარშემო, რომელიც არა თუ რევოლიუციას, თვით ჩვენ ფიზიკურ არსებობასაც კი ემუქრება, ბრმამაც კი უნდა დაინახოს სამხედრო ძალის აუცილებელი საჭიროება.

მაგრამ ჯარის მოგროვება ყოვლად უსარგებლო იქნება, თუ ახლავე, საჩქაროთ, არ გადაწყდება ერთი, მეტათ მწვავე საკითხი.

როცა შარშან ზაფხულში რუსის ჯარმა დაშლა და ნგრევა იწყო, იმ თავითვე ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ უმეტეს შემთხვევაში შეუგნებელ სალდათებს არ ესმით მოქალაქობრივი მოვალეობა, რევოლიუციის დაცვა, სამშობლო და სხვა ამისთანები. უაზრო შურისძიება, ოფიცრების უსარგებლო დევნა-შეურაცხყოფა, პირადი ინტერესების გამეფება, დარბევა-გაგლეჯა, საზოგადო ქონების გატაცება და სახლში გაქცევა,—აი რაში გამოიყენეს მათ საუკუნოებით ნანატრი თავისუფლება.

ამ დროს თქვენ შეამჩნევდით, რომ ადგილობრივი ჯარისკაცთ სულ სხვანაირათ ეჭირათ თავი: დინჯათ, ზრდილათ, შეგნებულათ.

როცა მიტინგზე რუსი სალდათები უთავბოლოთ ჩმახავდენ ბალშევიკების დემაგოგიურ ლოზუნგებს, ადგილობრივ ჯარისკაცები ხშირათ იტყოდენ ხოლმე: რა სულელები ყოფილან ეს საწყლებიო. თუ მათ თფილისის დარბევა ვერ გაბედეს, ეს უმთავრესათ აქაური სალდათების წყალობით.

ფართო საზოგადოება დიდი იმედით შეჰყურებდა მათ, როგორც საშშობლო კერის დამცველთ: ესენი გვიხსნიან გარეშე მტრისაგან და შინაურ დამრბეველთაგანო. ყველგან მადლობის თვალით ხვდებოდენ მათ მისვლას. ბევრგან ყვავილებს უფენდენ ფეხქვეშ.

ერთი სიტყვით, აქაური ჯარისკაცები, როცა ისინი ფრონტიდან დაბრუნდენ და ეროვნულ პოლკში დაბანაკდენ, ნამდვილი რაინდი იყვენ, საამაყო და სასიქადულო.

მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე.

ბალშევიკური სენი, როგორც გადამდები სნება, ჩვენ ჯარებშიაც გაჩნდა. სამხედრო მაცადინეობის მიტოვება, ქუჩებში უსაქმოთ ყიალი, რევოლიუციონური მთავრობის ბრძანების ასრულებაზე უარისთქმა, დაუკითხავად სოფლათ წასვლა, იქ მშვიდობიან მცხოვრებთა შეწუხება, აქა-იქ დარბევის მოხდენა და საზოგადო ქონების გატაცება,—აი დღევანდელი მდგომარეობა ქართველი მხედრობის ერთი ნაწილისა.

მეხუთე პოლკში ისეც კი გაკადნიერდენ, რომ როცა იქ ამ დღეებში მოსალაპარაკებლად მივიდა მთელ რუსეთში ცნობილი რევოლიუციონერი, რევოლიუციონური მთავრობის წევრი, ამ პოლკის გალაღებულმა სალდათებმა შეურაცხყოფა მიაყენეს.

დამეთანხმეთ, რომ ასეთ პირობებში სამხედრო სამსახურში გამოწვევას არავითარი აზრი არ ექნება, თუ ახლავე არ მოისპო ჯარის დამრღვევი პირობები და აღდგენილი არ იქნა **დისციპლინა.**

დისციპლინა სასტიკი და ულმობელი ყველა სფეროში, გარდა საოჯახო საქმეებისა (ჩაცმა-დახურვა, სასმელ-საჭმელი, ფურაჟი და სხვა), რომლებიც უნდა მიენდოს ჯარის ნაწილებში არჩეულ კომიტეტებს.

დისციპლინა—ეს ის დუღაბია, რომელიც შეიარაღებულ ხალხს მჭიდროთ აკავშირებს, ძლიერ ერთეულს ქმნის, ერთი სულით და ერთი მიზნით გაჟღენთილს.

უდისციპლინოთ შეიარაღებული ხალხი მხოლოდ ბრბოა, მტრისთვის უძლური და თავისიანებისთვის საშიში.

დისციპლინის გაგონებაზე ალბათ ბევრი ამხანაგთაგანი დაფრთხება, უნებლიეთ პირზე მოადგება სიტყვა „კონტრ-რევოლიუციური ზომა".

ხშირათ მესმის, „რევოლიუციური" დისციპლინა უნდა იქნესო.

უნდა გამოვტყდე, არ მესმის, რა არის ეს „რევოლიუციური დისციპლია".

ვიცი მხოლოდ, რომ ყველაზე უფრო ბევრს ყვიროდენ „რევოლიუციურ დისციპლინაზე" ბალშევიკები: ეს გამოიხატებოდა უფროსების არჩევნებში, აფიცრებისა და სალდათების გათანასწორებაში, პაგონების აყრაში, მორჩილების მოსპობაში და სხვა.

მაგრამ რა შედეგი მოყვა ასეთ დისციპლინას, ახლა ყველა ხედავს. რუსეთის გაშიშვლება მტრის წინაშე და სამშობლოს მუხანათური გაცემა გერმანიის კაპიტალიზმის სასარგებლოთ,—აი ასეთ დისციპლინის ნაყოფი.

ჩვენს ქვეყანაში კი ჩვენი საკუთარი თვალით ვხედავთ, რას წარმოადგენს ჩვენი „რევოლიუციური" ჯარი.

თუ „რევოლიუციურ დისციპლინათ" იგულისხმება ნებაყოფლობით დამორჩილება და თავის მოვალეობის ასრულება, მე ეს არ მრწამს. ყველა გმირი და რაინდი როდია. უმეტეს შემთხვევაში პირადი ინტერესები და ქვენა ზრახვანი ფარავს უმაღლეს ხალხის საზოგადო ინტერესს, და სწორეთ ასეთ პირებისთვის არის საჭირო ხალხისგან დადებული დისციპლინა, როგორც სავალდებულო საშუალება, რომელიც ხალხის მხთალ და პირადი ინტერესებით გატაცებულ შვილთ აიძულებს ხალხს ემსახუროს საჭირო დროს.

ყველგან არის დისციპლინა ჯარში: საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში, იტალიაში, ბელგიაში.

არ ვიცი, ჩვენ რაღა შევიქენით, ნუ თუ იმათზე, იქაურ რევოლიუციონურ დემოკრატიაზე, უფრო ჭკვიანები გვგონია ჩვენი თავი, ისე, როგორც ლენინმა და ტროცკიმ წარმოიდგინეს, ევროპის დემოკრატიას ჭკუას ვასწავლითო.

პარტია რა არის ჯართან შედარებით და აქაც კი დისციპლინა არის გამეფებული, დისციპლინა იძულებითი, რომლის დარღვევას მოსდევს განსაზღვრული სასჯელი (შენიშვნა, პარტიიდან გაძევება).

რუსეთის რევოლიუციამ თუ იმ თავითვე დისციპლინა შეასუსტა, ამას თავისი მიზანი ჰქონდა: უნდოდათ სალდათობა აფიცრებისგან მოეწყვიტათ, იმ აფიცრებისგან, რომლებისაც რევოლიუციას ეშინოდა, მეფეს მხარს დაუჭერენ და მის ტახტს აღადგენენო.

ბალშევიკებმა თუ დისციპლინა სრულიად მოსპეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დემაგოგიის წყალობით ხალხს თავზე წამოსკუპებოდენ.

ჩვენში დღევანდელ პირობებში არც ერთ ამ მოსაზრებას ადგილი არა აქვს.

აქ მე არ მეგულვება კონტრ-რევოლიუციონერი აფიცრობა. პირიქით, მე ვხედავ, რომ დღეს-დღეობით, ყოველ კრიზისის დროს, უმთავრესად აფიცრობის ერთი ნაწილი მაინც ასრულებს უსიტყვოთ რევოლიუციონურ დემოკრატიის ყოველ ბრძანებას.

და თუ, ვინიცობაა არიან, ან მერე გაჩნდებიან კონტრ-რევოლიუციონერი აფიცრები, ამ მოვლენის მოსასპობათ საკმარისია ასეთ აფიცრების გაგდება და არა დისციპლინის გაუქმება.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, როცა დემოკრატიამ მეფის ტახტი გააუქმა, ამ დემოკრატიამ მეფის ჯარები დაიმორჩილა არა დისციპლინის მოსპობით, არამედ რეაქციონერ ღენერლებისა და აფიცრების გაძევებით და თავისი კაცების სათავეში ჩაყენებით. დისციპლინა პირიქით უფრო გააძლიერა, ტერორამდის მიიყვანა.

მაშ ასე, ჩვენ ჯარში დისციპლინის აღდგენის საკითხი დღიურ წესრიგში უნდა დაისვას და საჩქაროთ გადაწყდეს.

უამისოთ ჯარის მოწვევა, მხოლოდ საზარალო იქნება: ჯარისკაცთ სამუშაოს მოვწყვეტთ და ხალხის მუქთა-ხორა სარჩენად გავხდით.

**სერგ. ქუთათელი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რათა ავტორს საშუალება მივცეთ თავისი აზრი გამოსთქვას. **რედ.**

## მდგომარეობა გორში

გორიდან თფილისში იტყობინებიან: ჯარისკაცთა ბრბო, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვს იდეურ ბალშევიზმთან, თავს ესხმის ქალაქს, აწარმოებს ძარცვა-გლეჯას, ანადგურებს მაღაზიებს. ხაშურიდან მოდიან ამხანაგები დასახმარებლათ.

**იქიდანვე.** კვირას, 4 თებერვალს ჩვენ ქ. გორში გამოვაცხადეთ სამხედრო წესები. იმ საღამოსვე პატრულებათ გამოვუშვით წითელ გვარდიელები, მანამდის ჩვენ დავატუსაღეთ 20 კაცი, რომლებიც არღვევდენ დისციპლინას და წესრიგს. დღემ კარგათ ჩაიარა. დღეს ერთმა აფიცერმა ქალაქში გაისროლა რევოლვერი, ამისთვის იგი დატუსაღებულ იქნა და წარმოადგინეს კომისარიატში. მან ყველა კომისარიატში მყოფთ დაუწყო ლანძღვა. ამან გამოიწვია კეცხოველისა და ეფრემიძის უკმაყოფილება. უნდოდათ აფიცერი გაეგზავნათ ციხეში, მაგრამ ამ დროს მოვიდა პოლკის დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა მათთვის გადაეცათ დატყვევებული. ერთი საათის შემდეგ გამოვიდა პოლკი და აუტეხა სროლა კომისარიატს. ამის შემდეგ დაიწყო სროლა ორივეს მხრით, რომელიც ამ ჟამათაც გრძელდება. არის მსხვერპლი. ჩვენ დავიჭირეთ ვოგზალი, ხიდი, მეფის ქუჩა, მაზრის და ქალაქის კომისარიატები და ქალაქის თვითმართველობა.

7 თებერვალს დილით თფილისის, ხაშურის და ქსანის წითელ გვარდიელებმა უბრძოლველათ აიღეს გორი. ჯარისკაცები, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში ისროდენ და ანადგურებდენ ქალაქს—წავიდენ ყაზარმებში

---

ქართულ პოლკის ჯარისკაცთა ორ მესამედმა უკვე დაჰყარეს იარაღი. დანარჩენებს გარს შემოვერტყით. მათ მოგვიგზავნეს დელეგაცია. მოლაპარაკების შედეგებს გაცნობებთ.

---

დღის 1 საათი. საქმის ვითარება და ჩვენი მუშაობის შედეგები საუცხოვოა. რაზმმა პირნათლათ შეასრულა თავისი რევოლიუციონური მოვალეობა. წითელგვარდიელებმა სისხლის დაუღვრელათ ჩააქრეს ბნელი ძალების მიერ გამოწვეული საშინელი არეულობა. ამ ბნელი ძალების მთავარი საბუდარის ერთმა ნაწილმა თავის შეცდომა აღიარა და მორჩილება გამოგვიცხადა. დანარჩენ ნაწილს ძალით აჰყარეს იარაღი გვარდიელებმა. ადგილობრივი მცხოვრებლები აღტაცებით შეეგებენ ჩვენი რაზმის ჩასვლას და უწევენ მას ყოველგვარ დახმარებას.

---

ჩვენი დელეგაცია უკვე ქართულ პოლკის ყაზარმაში იმყოფება. ჩვენი შტაბი ულტიმატიურათ მოითხოვს იარაღის ჩაბარებას ადგილობრივ ორგანიზაციისათვის. აქტიურ ზომების მიღებას მათი მხრით აღარ ველით.

---

მიღებულ ცნობებით დებოშის გამომწვევმა აფიცერმა მაყაევმა თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც ჯარმა იარაღი დაჰყარა.

## ხაშური

კომისარი ჯაფარიძე გვატყობინებს: 6 თებერვალს ჩავედით ხაშურში. ჩვენი ჩასვლისთანავე ბნელმა ძალებმა ასტეხეს სროლა კუთხეებიდან და სახლის სახურავებიდან, მოგვიკლეს ერთი წითელ გვარდიელი. პასუხათ გვარდიელებმა ჰაერში, გაისროლეს. ბნელი ძალები დაფრთხენ და გაიფანტენ. შეუდექით ჩხრეკას. მახლობელ სოფლებიდან თვითონ მოგვიტანეს მოტაცებული ნივთები და იარაღები. ორმა მესამედმა დატაცებული თოფებისა დააბრუნეს. მოკლულ წითელ გვარდიელის ოჯახს გადავეცი 500 მ. დახმარება. გავმართეთ მიტინგები ხაშურში და გორში, რომლებიც საუცხოვოთ ჩატარდა. ხაშურის მიდამოებში წესიერება აღდგენილია. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ერთიანათ ჩვენ გვემხრობა და თანაგრძნობით გვეკიდება. ექსცესების გამომწვევია დეზერტირების ჯგუფი. ოსიაურის მცხოვრები დაგვპირდენ ვეზიროვის და მისი ოჯახის ამომჟლეტის მონახვას და დატუსაღებას.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**განჯიდან** ე. გეგეჭკორს ატყობინებენ: გუშინ განჯის სადგურზე უკანასკნელ ეშელონს კვლავ დაესხა თათრის ბრბო. მივაშველეთ ჯავშნიანი მატარებელი, ტყვიისმფრქვეველებით და ზარბაზნებით, გავფანტეთ თავდამსხმელნი. ღამე მოინდომეს ჯავშნიანი მატარებლის დაღუპვა, მარა გადავარჩინეთ. გზაში მატარებლის ორთქლმავალს ცეცხლი გაუჩნდა, ალმა მოიცვა ერთი ვაგონიც, გვეშინოდა აფეთქების, მაგრამ კამანდის თავდადებული მუშაობით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა. ეხლა უკვე სიწყნარეა. ჩვენი მხრით მსხვერპლი არ არის. ეშელონიდან დაჭრილი და მოკლული 15 კაცია.

**სტრელკოვსკი, გოგვაძე.**

**იქიდანვე** 7 თებერვალი. გამოვემგზავრეთ თფილისისაკენ. აქ სიწყნარე არ ჩამოვარდნილა, საჭიროა არაჩვეულებრივი ზომების მიღება. ს. ძეგამში ძარცვა-გლეჯაა. არავითარი მატარებელი არ გამოგზავნოთ ჩვენს დაბრუნებამდე.

**სტრელკოვსკი, გოგვაძე.**

---

**კოდი.** 5 თებერვალს, დღის 12 საათზე, შეიარაღ. თათართა და ეშელონს შორის მოხდა ბრძოლა. სროლამ გასტანა 1 საათი. მკვდარია 400 თათარი, ეშელონების მხრივ კი 2 მკვდარი და ერთი დაჭრილია. სადგური განადგურებულია. ბილეთების კასიდან თათრებს გაუტაცნიათ 400 მანეთი, სამგზავრო ბილეთები კი მიმოუფანტავთ. თხოულობენ კომისიას აქტის შესადგენათ.

**კავლიარი.** მცხოვრებნი არ უშვებენ არც ერთ მატარებელს. ძარცვავენ რკინის გზის მოსამსახურეებს და მგზავრებს. საჭიროა ჯავშნიანი მატარებელი. 6 თებერვალს გაძარცვეს მატარებლები №№ 111 და 91. ამავე დღეს დქეგამის მახლობლათ დაეცენ მატარებელს № 115 და დაჭრეს მემანქანე. ამ უკანასკნელის განცხადებიდან როგორც სჩანს, მატარებელის მთელი შემადგენლობა ლიანდაგზეა გაჩერებული და წყალის უქონლობის გამო წინსვლა არ შეუძლია. თხოულობენ გზის გასაწმენდათ შესაფერ ზომების მიღებას.

**ალაგეზი.** 4 თებერვალს სადგურ ულუხანლუსთან მოხდა დიდი ბრძოლა. 4—5 თებერვალს გაძარცვეს დატვირთული ვაგონები და საწყობი შენობები. 5 თებ. დილით ბრბო შევიდა მოსამსახურეთა ბინებში და გაიტაცა ყველაფერი. მოსამსახურეებმა სადგური მიატოვეს, დარჩენ მხოლოდ უფროსები. რადგან მოძრაობა სტიქიურ ხასიათს ღებულობს, მატარებელთა მიმოსვლა შეუძლებელი ხდება.

**ერევანი.** 2 თებერვალს სადგ. ბაშნორაშენსა და შახტახტის შუა დაიმტვრა ნახიჩევანში მიმავალი მატარებელი. მატარებელს გარს შემოერტყა თათართა ბრბო და ძარცვავს მას. ეს გარემოება იწვევს სროლას. არის ბევრი მოკლული და დაჭრილი.

**განჯა.** როგორც კი ჩაიარეს ეშელონებმა, სადგურზე გამოცხადდა ათი ათასი შეიარაღებული თათარი და დაიწყეს რკინის გზის ქონების დატაცება. მუსულმანთა კომიტეტი და საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტი იღებენ ზომებს, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ იცვლება. ეშელონებს თან გაყვა ჯავშნიანი მატარებელი. არის მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცები.

**სადგ. სანდარი.** 5 თებერვალს თავს დაესხენ მატარებელს, რომლითაც მოდიოდენ ქართველი ჯარისკაცები. ჯარისკაცებს წაართვეს ვინტოვკები, რევოლვერები, ნივთები და სხ.

## კავკასიის ფრონტი

2 თებერვალს სოფ. სოლუქთან, რომელიც მდებარეობს 14 ვერსის მანძილზე მუშიდან ჩრდილოეთით, გამოჩნდენ თათრები. მათი განზრახვა და რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

3 თებერვალს ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ სოფ. სოლუქი დაუკავებიათ თათრებს, რომლებსაც დარაჯები დაუყენებიათ ჩვენი მიმართულებით. დამოკიდებულების უქონლობის გამო არ ვიცით რა ხდება კოპ-კორგუჩ-ვანის ხაზზე.

ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორი იტყობინება, რომ სპარსეთში შესვლა შეუძლია მხოლოდ არა უმეტეს 10 კაცისა უიარაღოთ.

ულუხანლუ-არარატის რაიონში ყოველ დღე ხდება ძარცვა-გლეჯა ადგილობრივ მცხოვრებთა ბრბოს და არარატის ქურთების მიერ. კორპუსის კომიტეტის გაძარცვის შემდეგ გაძარცვეს მალაკანებისა და საავტომობილო ტრანსპორტი. ეშელონები სროლით იცავენ თავს.

გამოურკვევლობა ქმნის პანიკას ჯულფაში და თავრიზის რკინის გზის სადგურებზე.

სარიყამიშში ყველა საინტენდანტო საწყობები სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში გადავიდა. როგორც იტყობინებიან, კომიტეტს განუზრახავს მთელი საქონელი დაურიგოს მიმავალ ჯარს, რომ სომხის ნაწილებს არაფერი დაუტოვონ. ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია ჯარი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდოს.

ამ ჟამათ ჯარის შტაბი დარჩა მწერლებსა და ჯარისკაცებს მოკლებული, მათ მოვალეობას ასრულებენ აფიცრები.

---

4 თებერვალი. სარწმუნო ცნობით, კორმუჩის რაიონში დგას ოსმალეთის დარდანელის დივიზია.

5 თებერვალი. 31 იანვარს აღმოჩნდა, რომ თათრები ერძინჯანს უახლოვდებოდენ. ამის გამო შეუდგენ საწყობების განადგურებას და ქალაქის ევაკუაციას. ჩვენს ჯარს უკან დასახევ გზაზე მოუხდა ქურთების მოგერიება, რომლებმაც გაანადგურეს ყველა ხის ხიდეები. ჩვენი ჯარი დიდათ დაზარალდა.

## შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი).

5

**ეკატერინოდარში.**

ბრძოლა შემდეგ დღეებში ხელახლა განახლდა. ბალშევიკებმა უკან დაიხიეს და სადგურ გეორგიევ-აფიპსკაიაზე გამაგრდენ. მარა 25 იანვარს აქედანაც განდევნილ იქნენ.

ამ ხანებში ქალაქში პარტიზანების რაზმი თვალსაჩინოთ გაიზარდა. ბურჟუაზიულ გაზეთებმა ერთი განგაში ასტეხეს: ბალშევიკები—ეს ყაჩაღებია, ბანდიტები, მოვლენ, დაგარბევენ, დაგაწიოკებენო და სხვა. შეშინებული „ობივატელი" ოთხათ იკაკვებოდა წელში.

მთავრობამ ომში მოკლული აფიცრები დიდის ამბით დაასაფლავა. მათი გვამები ქალაქის სობოროდან მთავარ ქუჩებზე გაატარეს, დიდი და მხურვალე სიტყვები უთხრეს, ქვეყნის მხსნელათ დასახეს...

სოციალისტური გაზეთები ეკატერინოდარში არ არსებობს. არის მხოლოდ ბურჟუაზიული გაზეთები და ზოგი მათგანი უახლოვდება რამდენიმეთ სოციალისტურ პარტიებს, თანაუგრძნობს მათ. ერთი მათგანი ს.-რ. საარჩევნო სიას ბეჭდავს, მეორე—სოციალ-დემოკრატებისას. მარა პარტიული მათ ნიშანწყალი არ აქვთ. ცხადია, ასეთ პირობებში პარტიების ხმა ქალაქში არ ისმის. ეს გაზეთები კი ყველანი ერთხმათ ილაშქრებენ ბალშევიზმის წინააღმდეგ არა იდეურათ, არამედ მხოლოდ ხულიგანურათ, როგორც ბურჟუაზიის ლაქიებს შეჰფერის.

ნამდვილი დემოკრატიის ხმა, ხმა გულწრფელი რევოლიუციონერის, ქალაქში არ ისმის, რაც დიდ ნაკლს წარმოადგენს.

რეაქციონერებს მარცხნივ და მარჯვნივ, სამოქალაქო ომის მოსურნეთ, შემკავებელი არავინა ჰყავს. არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს ან ბალშევიკების ალაგმვა და მუშებში მათი ნიადაგის გამოცლა, ანდა რეაქციონურ იუნკრების განზე გადაყენება და ქალაქის დაცვა დემოკრატიის საშუალებით.

ამაზე მხოლოდ ეხლა ფიქრობს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, მარა ძალთა სიმცირის გამო ვერაფერი გაუწყვიათ. ყოველ შემთხვევაში საკითხი დემოკრატიული რაზმის შედგენის, რომელიც ამ იუნკრების რეაქციონურ თავგასულობისაგან იხსნის ქალაქს და თან ბალშევიკების ავანტიურასაც შეაჩერებს.

აი—ამაშია ტრაგიზმი ყუბანის ოლქის, ამაშია ტრაგიზმი ეკატერინოდარის, ამით იქნება აუცილებლობა სამოქალაქო ომის, ერთმანეთის ჟლეტის, რომელიც, რითაც უნდა დათავდეს, მაინც რევოლიუციის დასამარების მეტს არას მოუტანს ქვეყანას.

ასეა თუ ისე, მთავრობა, რომელიც იმ ხანათ ლიბერალურ წევრებისგან და ყაზახებისგან შედგებოდა (შემდეგ მისი შემადგენლობა შეიცვალა), ერთიანათ ამ რეაქციონურ ძალას ეყრდნობა და მას ქება-დიდებით იხსენიებს.

საერთო ატმოსფერა რევოლიუციისა ჯერ იმდენათ ძლიერია, რომ ქუჩაში ეს რეაქციონერები ხანდისხან რევოლიუციონურ და თავისუფლების სიტყვასაც ამბობენ, მარა ხშირათ თავს ვერ იკავებენ.

ერთ ჩვენ ამხანაგს ს—ვს, როცა ღამე მომავალს მუშათა საბჭოს მოწმობა უნახეს, ასე შეუძახეს გამომგზავნელი: („Совѣтъ собачихъ и кошачихъ депутатовъ") „ძაღლების და კატების დეპუტატთა საბჭოო". რესტორან-კლუბებში კი სულ „ღმერთო იხსენი მეფე"-ს მღერიან და მონარქიზმის აღდგენას შეხარიან.

და აი ასეთი ხალხი იმარჯვებს დღეს ბალშევიკების უგნური პოლიტიკის წყალობით. ასეთ ხალხს ეძლევა საშუალება ქვეყნის მხსნელათ მოევლინოს საზოგადოებას, წესიერების ბურჯათ გამოვიდეს და ამით ნდობა დაიმსახუროს სიწყნარის მოტრფიალე „ობივატელის" თვალში.

ყუბანის მთავრობაც ამას ხელს უწყობს. მან ისარგებლა სამი აფიცრის დასაფლავებით და იგი დემონსტრაციათ აქცია. ამავე მიზნით იქნა გამოყენებული პარტიზანთა რაზმის უფროსის—პოკროვსკის—გამარჯვებული დაბრუნება ქალაქში ენემის პოზიციებიდან, შინაურ მტრისთვის წართმეულ ზარბაზნებით, ზაირაღებით და სხვა ტროფეებით. ქალაქმა იმ დღეს სადღესასწაულო ელფერი მიიღო. მთელი ბურჟუაზია ქუჩაში გამოვიდა და მოქალაქენი ტაშის ცემით შეეგებენ თავის „დამხსნელს" და მის რაზმს, რომელსაც უკან ნადავლი ზარბაზნები მოყვებოდა.

24 და 25-ს ბალშევიკები მართლაც სასტიკათ დამარცხდენ. მათ 600-მდე მარტო ტყვე დაჰკარგეს, დაჭრილ-დახოცილები კიდევ მეტი. ასეთი მსხვერპლის მიზეზი, როგორც გადმოგვცეს, იყო მატარებლების დატაკება.

ბალშევიკების ეშელონები ერთი მეორეზე მოდიოდენ ბრძოლის ველისაკენ. პარტიზანები მათ თვითეულათ ხვდებოდენ და ამარცხებდენ. როცა ერთი ეშელონთაგანი დაიქანცა მატარებელში ჩასხდა და უკან დაიხია, მარა ამ დროს საშველათ წამოსულ მეორე ეშელონს დაეტაკა. მატარებლის დამსხვრევამ თავზარი დასცა ჯარს. პარტიზანებმა ამით ისარგებლეს და ბევრი დაჭრეს და დაატყვევეს. ამ ბრძოლაში დაჭრილ იქნა და ტყვეთ ჩაუვარდათ ყუბანელებს სირაძე, მემარცხენე ს. რ., რომელიც სამხედრო კომისრათ იყო ნოვოროსიაში. გაზეთების ცნობით იგი მეორე დღეს გარდაიცვალა მძიმე ჭრილობის გამო.

ერთი ნაცნობი აფიცრის სიტყვით კი, რომელიც იძულებით ჩასწერეს პარტიზანთა რაზმში და ქალაქში ყარაულობდა, იგი ერთმა აფიცერთაგანმა დაჰკლა სარეცელზე. ზოგიერთი ნასწავლი აფიცრები სისელურეში ლენინის ბრმა მატროსებს არ ჩამოუვარდებიან. განსხვავება ისაა, რომ პირველნი შეგნებულათ ხულიგანობენ, უკანასკნელნი კი შეუგნებლობით და უვიცობით ეწევიან საზიზღარ მკვლელობას დაჭრილი და დატუსაღებული მოწინააღმდეგისას.

და სწორეთ იმ საათში, როცა სირაძე საავადმყოფოში ჩაკლეს, ნიკოლაევის დიდ ქუჩაში „ძლევა მოსილი" იუნკერი წინამძღოლი პოკროვსკი ამაყათ მიაბიჯებდა ცხენზე წამოსკუპებული.

აქეთ იქიდან მას ვარდებს და ყვავილებს ესროდენ „გამარჯვებისათვის". იგიც თავის მხრივ ყვავილებს აქეთ-იქით ისროდა ხალხში, თითქოს მას ქვეყნისთვის უდიდესი ბედნიერება მოეტანოს. უნდა გამოტეხილი ვთქვა, ამ უგნურ და სამარცხვინო სურათს რომ ვხედავდი, გულში რაღაც მწარეთ მკბენდა, თითქოს რაღაცა მომგლიჯეს, რაღაც ძვირფასი ამომაცალეს გულიდან. წარმოვიდგინე ეს უგნურება და პოლიტიკური სიბეცე დემოკრატიის, რომელიც თოფით მოდის, როცა მას უთოფოთაც საუკეთესოთ შეუძლია დაიცვას თავის ინტერესები; წარმოვიდგინე, როგორ ეგებიან ეს უგნური რეაქციონერთა ანკესზე და მის გავლენას აძლიერებენ და გულმა იგრძნო, რომ რეაქციის კვანძი მაგრათ გაინასკვა ეკატერინოდარის მიდამოებში.

თუმცა მთელი ჩემი სიმპატია მუშების და ინოგოროდცების მხარეზე იყო, თუმცა მე სულით და გულით მსურდა ამ რეაქციონერ იუნკერთა ბრბოსთვის „ჭკუა ესწავლებინათ", მაგრამ განა ტყვია ყოველთვის ასეთი ჭკუის მასწავლებელია?

და ამ დღეებში მე დავრწმუნდი რა დიდი რეაქციონური საშუალებაა ხშირათ თვით უკიდურესი რევოლიუციონური მიზნით გასროლილი ტყვია. ჩემ თვალწინ საათობით, წუთობით აზრდებოდა რეაქციონური სულისკვეთება. ვინც გუშინ მუშების გაჭირვებაზე ლაპარაკობდა და ქალაქის საბჭოში გაცხარებული შეკითხვა შეჰქონდა პროფესიონალურ კავშირთა დარბევის წინააღმდეგ, დღეს იგი თვითონ ბალშევიკებს მაგარი სიტყვით იხსენიებდა. და მაშინ მე პრაქტიკულათ დავრწმუნდი, თვალდათვალ დავინახე, რომ ბალშევიკების ავანტიურა სავსებით ეთანხმება რეაქციონერთა პროვოკაციულ ზრახვას, და ნიადაგს უმზადებს რესტავრაციას. რუსეთის რევოლიუციას ამაზე საშინელი მტერი არა ყავს.

წარმოიდგინეთ უბრალო ჩინოვნიკი, მასწავლებელი, ბუხგალტერი, კანტორშჩიკი, რომელსაც „შჩოტისა" და კალმის მეტი იარაღი არ უნახავს, ეხლა იარაღს ისხამს „შემოსეულ მტრის" მოსაგერებლათ, ისიც თავს იცავს მომხთურთაგან. ეს ძალაუნებურათ ამოძრავება, ამოქმედება „ობივატელისა" რეაქციის მხარეზე კი საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ თავისუფლებას და რევოლიუციას ფართე ნიადაგი ეცლება. ობივატელი ვირთხის ჯიშისაა, ის პირველი იგრძნობს ვისი გემი იღუპება და გარბის იქიდან...

„გამარჯვებამ" ერთიანათ ფრთები შეასხა რეაქციონერთ. ქალაქი იუნკრების და აფიცრების საბატონოთ გადაიქცა. ქუჩაში გავლა სახიფათო შეიქნა. მცხოვრებლები შეღამებისას უკვე თავიანთ ოთახებში იმალებოდენ და ქუჩები ცარიელი რჩებოდა. ჩვენ დელეგაციას, სხდომების დათავების შემდეგ ყოველდღე გვიან უხდებოდა დაბრუნება სადგურზე და ჩვენ ყველაზე უკეთ ვგრძნობდით ამ ტონის შეცვლას იუნკრებისაგან. პირველ დღეებში ომამდე ისინი მეტის-მეტათ თავაზიანათ გვიშვებდენ სადგურზე სადელეგატო ვაგონში შესასვლელათ. „ომში" გამარჯვების შემდეგ კი არა ერთხელ მოგვაყოლეს მაგარ-მაგარი სიტყვები, რომლის მაგალითი მე ზევით მოვიყვანე. მათთვის რევოლიუციონური ორგანიზაციების მიერ მოცემული მოწმობების ჩვენება ღამე სახიფათო შეიქნა. ჩვენ კი ყოველ ღამე გვიხდებოდა მათთან ამ ნიადაგზე შეხვედრა, რადგან სადგური მათ ეჭირათ ხელში და შიგ არავის არ უშვებდენ. ჩვენ კი უეჭველათ უნდა გაგვევლო, რომ ვაგონში დავგვეძინებია. ზოგიერთი ამხანაგი ამ მიზეზით ხშირათ არჩევდა კიდეც ქალაქში დარჩენას და რომელიმე ნაცნობთან ღამის გათევას.

რეაქციის პირველი ფრთების ფრთხიალი უკვე ვიგემეთ ეკატერინოდარში. გაშლის ის ფრთებს უფრო მძლავრათ შემდეგში, თუ შეიკვეცება—ეს დამოკიდებულია დემოკრატიის ტაქტიკაზე. ბალშევიზმი მას ვერ შეჰკვეცს. ბალშევიზმს შეუძლია მხოლოდ, თუ ხიშტმა არ უმტყუნა, დროებით დათრგუნოს, შეაჩეროს იგი, მარა თვით ამ დათრგუნვით გაზრდის და გააძლიერებს მას.

ადგილობრივი სოც.-დემოკრატები და ს.-რ. გრძნობენ ამას და ცდილობენ შესაფერი ზომების მიღებას. მარა ჯერჯერობით მაინც უნაყოფოთ. **რ. ა.**

## სამოქალაქო ომი

უკრაინაში ბალშევიკებსა და უკრაინელებს შორის ბრძოლაა გაჩაღებული. ბალშევიკების 20-მდე ეშელონი მიდის კიევისკენ. ეს ჯარი დაიძრა ხარკოვიდან, აიღო პოლტავა და ლიუბნი—და ეხლა მიდის კიევის მიმართულებით.

ყირიმის თათართა და უკრაინის მთავრობათა შეთანხმებით თათრებს მიეცა ნება დაიკავონ სევასტოპოლი, რომ ჩააქრონ იქ ბალშევიკური ანარქია.

## გერმანიის შემოტევა

ამიერ კავკასიის კომისარიატს ბათუმიდან რადიოტელეგრაფით ატყობინებენ: გერმანიამ 5 თებერვალს გამოუცხადა რუსეთს ომი. ტროცკის ვითომ ეჭვი შეეპარა ამ ამბავის სიმართლეში და დეპეშა გაგზავნა ბერლინში შეკითხვით, ნუ თუ მართალია ესო. პასუხი ჯერ არ არის. ამ წუთში სევასტოპოლიდან გვაცნობეს, რომ ადესაში მიუღიათ ტროცკიდან რადიოტელეგრამა, რომ გერმანელები დიდძალი ჯარით უტევენ კოველს.

## ტფ. გუბ. შრომის კომისარისაგან

**ამხანაგო მუშებო!**

შრომის კომისარიატი რევოლიუციის გამარჯვების, მუშათა კლასის თავდადებული ბრძოლის ნაყოფია. თვით მუშათა კლასმა წამოაყენა ეს, თავიანთ ინტერესების დამცველი ორგანო. პირადათ თვით შრომის კომისარიც კი მუშათა ორგანიზაციების მიერ არჩეულია. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ შრომის კომისარიატი მაშინ იქნება მტკიცე ნიადაგზე დაყრდნობილი, უკეთუ მუშათა ორგანიზაციები გამაგრდებიან და მსხვილი საზოგადოებრივი ძალები გახდებიან. და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, უკეთუ ყველა მუშები შეერთდებიან კავშირში და ყოველი კერძო მუშა კავშირის საშუალებით იმოქმედებს.

ცხოვრებაში-კი, ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. მუშათა უმრავლესობას ჯერ არ შეუქმნია არავითარი ორგანიზაცია და განცალკევებით მოქმედობს. კიდევ მეტი. თითქმის ორგანიზაციულათ შეერთებული მუშებიც კი გვერდს უვლიან თავიანთ ორგანიზაციებს. მრავალი მუშა თავის ინტერესების დასაცავათ საგუბერნიო შრომის კომისარიატს მიმართავს და არ ცდილობს თავის საქმე თავისვე ორგანიზაციაში გადასწყვიტოს, ამხანაგების შემწეობით და ამ გვარ მოქმედებით თავიანთ კავშირებს სახელს უტეხენ. ამ გვარათ თავიანთ კავშირის დასუსტებით და სახელის გატეხით ასუსტებენ თვით კომისარიატს, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება.

სცნობს რა თავის მოვალეობათ იმუშაოს მუშათა ორგანიზაციებთან ერთათ, თფილისის გუბერნიის შრომის კომისარი მოუწოდებს ყველა იმ მუშებს, რომლებსაც ჯერ საკუთარი ორგანიზაციები არა აქვთ, ჩაეწერონ კავშირებში და რომლებსაც აქვთ თავიანთ ორგან. გარეშე არ იმოქმედონ, და სასწრაფო შემთხვევების გარდა რამდენათაც შესაძლებელია ეცადონ ყველა კითხვები წინასწარ საქარხნო კომიტეტებში გაარჩიონ. უფრო მეტათ კმაყოფილი დარჩება მუშა, მხოლოდ მაშინ, როცა კომისარიატს წარმოუდგენს თავის უფლებების განხორციელების შესახებ მოთხოვნას და წარსდგება მის წინ, როგორც კავშირის წევრი და ამ კავშირზე დაყრდნობილ შრომის კომისარს კი მეტი ძალა ექნება გადასჭრას საკითხი. რამდენათაც მუშებს შეეძლებათ ხელიდან არ გაუშვან მოპოებული უფლებები და ახალი მოიპოვონ, იმდენათ შრომის კომისარიატი იქნება მუშათა ინტერესების დაცვის გამომხატველი ორგანო.

შრომის კომისარი **ტრეიმანი.**

## ახალი ამბები

**ქუთაისიდან** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შემდეგი დეპეშა მიიღო: 6 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, სამასი შეიარაღებული ჯარისკაცი დაეცა რკინის გზის კომიტეტს და მიუხედავათ ყოველივე თხოვნა-დარიგებისა, გაიტაცა 200-ამდე ვინტოვკა 6000 პატრონებით და 10000 მანეთათ ღირებული მანუფაქტურა. ამის შემდეგ სროლით გაეშურენ ქალაქისაკენ, სადაც სროლა ახლაც გრძელდება. ადამიანთა მსხვერპლი ჯერ არ არის.

✦ **წითელ გვირდიელის დასაფლავება.** რუს. სოც.-დემ. მ. პ. მუსულმანთა ორგ. „გუმეტის“ ბიურო თხოვს ამხანაგებს დაესწრონ ამხ. წითელ გვარდიელის ალი ისმაილ-ოღლის დასაფლავებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება მიხეილის სავათმყოფოდან დღეს, დილის 9 საათზე.

✦ **არეულობის წინაამდეგ.** ყოველ მოქალაქეს, რომელიც ქუჩაში თუ სახლში სროლისთვის, ჩხუბისთვის და სხვა უწესოებისათვის დაჭერილი იქნება, თანახმად ქალაქის დამცველ შტაბის დადგენილებისა, იარაღი სამუდამოთ აერთმევა და გარდაეცემა საზოგადოებრივ თავდაცვის კომისიას. აგრეთვე წაართმევენ ფულს იმ პირთ, რომელნიც შემჩნეული იქნებიან პატრონების და სხვა იარაღის ყიდვა-გაყიდვაში. დამნაშავე პირნი კი, თანახმათ თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, დატუსაღებული იქნებიან ექვსი თვიდან 1-წლამდე, ან და, დანაშაულის მიხედვით შესაფერ პასუხისგებაში მიეცემიან.

✦ **სეიმი** ამიერ-კავკასიის სეიმი გაიხსნება 10 თებერვალს, 12 საათზე, სახელმწიფო თეატრის დარბაზში. სეიმის დეპუტატები პარტიათა მიხედვით შემდეგ ნაირათ ნაწილდებიან: სია № 1—32 დეპუტატი; № 2—1, № 3—5, № 4—27, № 5—4, № 6—1, № 8—1, № 10—30, № 11—4, № 12—7, № 14—3. სულ 115 დეპუტატი.

✦ **სურსათი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრი დალაქოვი, რომელიც გაგზავნილია ჩრდილო-კავკასიაში სურსათის შესაძენათ, თხოულობს, რომ მას გაეგზავნოს ტრანსპორტი სიმინდის ფქვილის თფილისში შემოსატანათ, მისივე აზრი ი სასურსათო ორგანიზაციათა წარმომადგენლების სეპარატიული გამოსვლა სურსათის შესაძენათ არ არის სასურველი, ვინაიდან ამათ შორის მეტოქეობის ნიადაგზე შეიძლება სიმინდის ფასმა აიწიოს.

✦ **ეშელონი.** სარიყამიშიდან სადახლოში მისულ ეშელონს გარს შემოერტყა თათართა ბრბო გასაძარცვავათ. გაჩაღდა ბრძოლა, 300 თათარი მოჰკლეს, ეშელონების მხრივ მკვდარია 1 პოდპოლკოვნიკი, და დაჭრილია 2 აფიცერი და ორი ჯარისკაცი.

✦ **სურსათი.** 6 თებერვალს თფილისში შემოიტანეს 13 ვაგონი ხორბალი.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, დიდუბის რკინის გზის სასწავლებლის შენობაში შესდგება დიდუბის რაიონის მოქალაქეთა კომიტეტის კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა ცენტრის მორიგი სხდომა.

— პარასკევს, 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3), დანიშნულია მეოთხე რაიონის—პირველ, მეორე და მესამე სამილიციო უბნის წითელ-გვარდიელთა საზოგადო კრება. რადგან კითხვები ფრიად საჩქარო და საყურადღებოა, ამიტომ ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრან კრებას.

— პირველი რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ხდება ყოველ კვირაში ოთხშაბათობით.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** ამას წინათ ფოთიდან მოთავსებული იყო წერილი კოოპერატივების შესახებ. წერილში ნაგულისხმევია კუნძულისა და განსაკუთრებით ნახუტურის კოოპერატივი.

— დასრულდა მასწავლებელთა გაფიცვა. სკოლებში მეცადინეობა დაიწყო 30 იანვარს.

— დასრულდა ხე-ტყის ქარხნების მუშების გაფიცვა.

— ქალაქის თვითმართველობამ მილიციის უფროსის თანაშემწეთ, ნაცვლათ ავქს. მეგრელიძისა, რომელმაც უარი განაცხადა სამსახურზე, მოიწვია პოდპორუჩიკი ვანო სვანიძე.

— დაარსდა 8 კაცისაგან შემდგარი რევოლიუციონური ტრიბუნალი.

— ქალაქის თვიმართველობას აზრათ აქვს მალიარიის წინააღმდეგ საბრძოლველათ გაიყვანოს დაბალ და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა მიერ სისტემატიურათ ქინის მიღების პროექტი. პროექტი შემუშავებულია ექიმ ნ. რუხაძის მიერ (თფილისი).

— სასურსათო კომიტეტი ამ მოკლე დროში გადავა ქალაქის თვითმართველობის ხელში. ამის გამო მოსალოდნელია სასურსათო კომიტეტების მოსამსახურეთა შემადგენლობის ცვლილება.

— გ. საბახტარიშვილი ავათმყოფობის გამო თავს ანებებს ქალაქის ხმოსნობას.

**სოფ. ახმეტა** (თიანეთ. მაზრ.). 28 იანვარს მოხდა რ. ს.-დ. მუშათა პარტიის წევრთა კრება. კრების მიზანი იყო რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის დარსება. ორგანიზაციის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბაგრატა ჩხეტიანი, ხაზინადრათ ბელენდიქტე ფაქიზაშვილი, მდივნათ ალექსი მოსემღვდლიშვილი.

**ს. ზანათი.** კვირას, 11 თებერვალს, ზანათის მომხმარებელი საზოგადოება „სიცოცხლის წყარო“-ს გამგეობა იწვევს წევრთა საზოგადო კრებას ადგილობრივ ორ კლასიან სასწავლებლის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1, გამგეობის მოხსენება; 2, ექვსი თვის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 3, მოგების განაწილება; 4, გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები; 5, მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა; 6, წარმოების გაფართოვება; 7, ზანათში მდ. აბაშაზე ხიდის გაკეთება.

**ქ. ახალ-სენაკი.** სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, უწევს რა ანგარიშს ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა სულიერ განწყობილებას, სთხოვს სოფლის აღმასრულებელ კომიტეტებს და კომისართ ყურადღებით მოეპყრან ჯარისკაცთა კანონიერ მოთხოვნილებებს. როგორც სჩანს ჯარისკაცები თხოულობენ სოფლის კომიტეტების და კომისარების ხელ-ახალ არჩევას იმ მოსაზრებით, რომ მათ სამსახურის გამო უმეტეს შემთხვევებში მონაწილეობა არ მიუღიათ მათ არჩევნებში. ამ ნიადაგზე ხდება არა სასურველი მდგომარეობა. ყოველივე გაუგებრობის და არევ-დარევის თავიდან ასაცილებლათ სამაზრო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია განუმარტოს ყველას, რომ კომიტეტების და ადმინისტრაციის პირების ხელ ახალი არჩევა ხალხის ფართე მასის მოთხოვნით და მონაწილეობით მეტად სასურველია.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გზით განახლებული რევოლიუციონური ორგანიზაციები უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენენ დღევანდელ მძიმე პირობებში, რაც უფრო ნაყოფიერ შედეგს მოიტანს. სამაზრო კომიტეტი თავის მხრით ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს განახლებულ ორგანიზაციებს იმ ბოროტ პირების ასალაგმავად, რომელთაც არევ-დარევა შეაქვთ პირად ინტერესებისათვის ცხოვრების წესიერ მიმდინარეობაში. ამიტომ წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ ხელახალი არჩევნები იქ, სადაც საზოგადოება მოითხოვს ამას თანახმად არჩევნების არსებულ წესებისა.

**სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.**

## რუსეთის ამბები

**მენშევიკების გაჩხრეკა.** იანვრის შუა რიცხვებში გაჩხრიკეს მთელი რიგი რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) რაიონულ ორგანიზაციებისა, მაგ., ნარვის, კოლომენსკის, მოსკოვო-ზასტავის, რაჟდესტვენსკის. პირველი ორი რაიონული ორგანიზაცია სავსებით გაანადგურეს: დახიეს წიგნები, დაამტვრიეს შკაფები, გააფუჭეს ტელეფონი და სხ.

**ბალშევიკები და ანარქისტები.** პეტროგრადში ქარხანა-ფაბრიკებში ანარქისტებმა ბალშევიკების და სახალხო კომისარების საბჭოს წინააღმდეგ დიდი აგიტაცია გააჩაღეს. ამის შესახებ ბონჩ-ბრუევიჩმა ბალშევიკების მთავრობას მოხსენება გაუკეთა ď განაცხადა, რომ ანარქისტებმა დიდი გავლენა მოიპოვეს მუშებში და მათ აგიტაციას დიდი გასავალი აქვსო. ბონჩ-ბრუევიჩმა ურჩია ბალშევიკებს, ეხლავე მიიღეთ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, თორემ დღეს თუ არა ხვალ მთავრობას ხელიდან გამოგვტაცებენ ანარქისტებიო.

**პოლონეთის ლეგიონები ლენინის წინააღმდეგ.** პოლონეთის ლეგიონის რაზმებმა ორშა და მინსკი დაიჭირეს და ლენინს ომი გამოუცხადეს. რაზმები წინ მოიწევენ. დიდი ამბებია მოსალოდნელი.

**უკრაინელებმა ვორონეჟი აიღეს.** ვორონეჟში მივიდა უკრაინელების ეშელონი. ბალშევიკებმა მათ იარაღის აყრა მოსთხოვეს. უკრაინელებმა კატეგორიული უარი უთხრეს. მოხდა ბრძოლა. უკრაინელები შეიჭრენ ქალაქში და დაიჭირეს ტელეგრაფი და სხვა მთავარი დაწესებულებები. ბრძოლა გრძელდება.

**გამხეცებული ბრბოს მსხვერპლნი.** ბატაისკში დაატუსაღეს 8 ბოროტმოქმედნი. ბრბო მოითხოვდა გადაეცათ იგინი თვითგასასამართლებლათ. დატუსაღებულებმა ითხოვეს როსტოვის ციხეში გაგვგზავნეთო, მაგრამ მილიციის უფროსმა იგინი მაინც ბატაისკში დასტოვა.

22 იანვარს უნდა მოეხდინათ მათი თვითგასამართლება. წირვის შემდეგ სოფლის სამმართველოში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ დროს ცნობა მიიღეს, რომ სამხედრო მატარებლით მოვიდა აფიცრების და იუნკრების ჯგუფი „ტუსაღების განსათავისუფლებლათო“. ამ ამბავმა ბრბო ძლიერ ააღელვა. აფიცრები და იუნკრები მივიდნენ და მოლაპარაკება გამართეს ბრბოსთან. მდგომარეობა თანდათან გამწვავდა. ამ დროს ვიღამაც რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა. ეს იყო ნიშანი. გამხეცებული ბრბო მივარდა, იქვე ჩახოცა აფიცრები და იუნკრები. ტუსაღებმა არეულობით ისარგებლეს, გამოამტვრიეს კარები და გაიქცენ. მოკლული აფიცრების და იუნკრების გვამები საშინლათ დაასახიჩრეს გამხეცებულმა ბრბომ. ზოგს ცხვირი, ყური და სქესობრივი ორგანოები მოსჭრეს, ზოგს კბილები ჩაამტვრიეს და თვალები ჩაუჭყლიტეს. მათ დანახვაზე ადამიანს გული შეუწუხდება, სისხლი ეყინება.

როცა ეს დასახიჩრებული გვამები როსტოვის სადგურზე მიიტანეს და მათ სანახავათ ნათესავები და ცოლები მივიდნენ, მათმა საზარელმა წივილ-კივილმა მაყურებლებს გული დაუთუთქა და მდუღარე ცრემლები აფრქვევინა.

## უცხოეთი

**ცენტრალური სახელმწიფოები და პოლონეთი.** ცენტრალურ სახელმწიფოებსა და პოლონეთს შორის მდგომარეობა გამწვავდა, მას შემდეგ რაც ცენტრალურმა სახელმწიფოებმა უკრაინელებს მიაკუთნეს პოლონეთის სამი გუბერნია. როგორც ვენიდან დეპეშით იტყობინებიან ავსტრიის პოლონურმა პარტიამ ვენის მთავრობასთან დამოკიდ ბულება შესწყვიტა.

**იტალიის მინისტრის სიტყვა.** იტალიის მინისტრმა კრიმანდინიმ ერთ თავის სიტყვაში შემდეგი განაცხადა: გერმანიას და ავსტრიას უნდა პარტიები ჩაითრიოს საზაო მოლაპარაკებაში, რადგან ამის შემდეგ მოკავშირენი ვერ შესძლებენ ომის გაგრძელებასაო. მაგრამ იტალია არ ჩავარდება ხაფანგში. იტალია მოითხოვს ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებას, პოლონეთის და ჩეხიის დამოუკიდებლობას, ბელგიის, სერბიის, ჩერნოგორიის და რუმინიის აღდგენას და მომავალისთვის სრულ გარანტიას.

## ფინანსიური კრიზისი და ბალშევიკები

„ნოვაია ჟიზნ“-ში მოყვანილია შემდეგი ამონაწერი ბალშევიკების გაზეთ „პრავდა“-დან:

„ისეთ მთავრობას არ შეუძლია არსებობა, რომლის ერთად-ერთ წყაროს მხოლოდ ქაღალდის ფულების ბეჭდვა შეადგენს. ასეთი მთავრობა ჰაერში არის გამოკიდებული და აუცილებლათ უნდა დაეცეს.

რევოლიუციამდე ჩვენ ვამბობდით, რომ ბურჟუაზიისთვის დაედვათ გადასახადები. საქმით კი მუშებს და გლეხებს ტყავი სძვრებათ. ბურჟუაზიისთვის ყოველმხრიდან მოითხოვენ—მოიტათ ფულები!

მოითხოვენ 10, 20, 100 და ხშირათ 500 მილიონ მანეთსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებითო.

შემოსავალი კი არსაიდან არის, რკინის გზები თავის ხარჯებს ვერ ფარავს, დეფიციტი რამდენიმე ასი მილიონი მანათია, გადასახადებს აღარ იხდიან.

უკეთუ დაუყონებლივ ყველა საბჭოები ქალაქის და ერობათა თვითმმართველობები ფეხზე არ დადგენ ფინანსების მხრით, მანეთი ჩქარა კაპეიკი გახდება და ფასები ასჯერ იმატებს.

როგორც კი კაცი შეიტანონ გადამხდელთა სიაში ď განისაზღვროს მისი შემოსავალი, მაშინვე მოსთხოვონ გასული წლის გადასახადი. უკეთუ არ გადაიხადა, წაართვით ნივთები და იქვე გაყიდეთ აუქციონით და ოქმი შეადგინეთ“.

## მუშათა წერილები

**ბალშევიკები, დაშნაკცუტუნები და ჩვენი ნაციონალისტები.**

დღეს, როდესაც რევოლიუცია და თავისუფლება უკვე განსაცდელშია ჩავარდნილი და ჩვენს მშრომელ ხალხის წინაშე ყოფნა-არყოფნის კითხვა ისმება, აი ასეთ მძიმე, კრიტიკულ მომენტში მყოფ მუშათა კლასის ავანგარდზე, მათი მოწინავე რევოლიუციის ხელმძღვანელებზე, მთელ ჩვენს მოქმედ მებრძოლ პარტიაზე ერიში იერიშზე მოაქვთ ყოველის მხრით, ყველა პარტიებს, ყველა ფრაქციებს, ყველა ჯგუფებს, განურჩევლათ მათი სოცილისტურ თუ ანტი-სოციალისტურ მიმდევარეობისა.

დღეს ყველას სურს გაგვთელონ, მონათ გვაქციონ ჩვენ, სოც.-დემოკრატები, რომლებიც ხალხის ნდობით აღჭურვილნი ვართ და რომლებიც მუშათა კლასის ინტერნაციონალურ გზით მივდივართ, მის იდეას ვავრცელებთ ამ ოცი წლის განმავლობაში.

დღეს ყოველივე ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიების თუ ფრაქციების ჩადენილ დანაშაულს რევოლიუციის თუ ხალხის წინაშე ჩვენ გვახვევენ თავზე და უსირცხვილოდ ქუჩიდან-ქუჩაში, სიტყვით თუ პრესით ხმა მაღლა გაჰკივიან: ყველაფერში სოც.-დემ. მენშევიკები არიან დამნაშავენი.

არ არის პური, არ არის ფული, არ არის სხვა მრავალი საჭირო საგნები და ყველა ამაში, ყველაზე მეტი დანაშაული ხალხის წინაშე თვით ჩვენს მოწინააღმდეგეებს მიუძღვის თავიანთი საბოტაჟიური პოლიტიკის წარმოებით. და ამ მათ მიერ შექმნილ გარემოებას თვით ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიები საბუთათ და შეუგნებელ მასაში შავბნელ აგიტაციას ეწევიან, ჩვენი გზის, ჩვენი იდეიის დასამარცხებლათ. არ ერიდებიან არავითარ პროვოკაციულ დემაგოგიას და ქუჩაში თუ ხალხში, კრებებზე თუ ბაზარში, ფურნის კუდებთან თუ ტრამვაიაში გაკივიან: მენშევიკების ბრალია ყველაფერიო. მაგრამ ყველა ამის გარდა, რომ ჩვენ დაგვამარცხონ, ინტერნაციონალური დროშა ძირს დასცენ, მუშათა კლასი გათელონ, ანარქია მოახდინონ, ერთდებიან ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე პარტიები, როგორიც არის შოვინისტურ ნაციონალისტური პარტია დაშნაკცუტუნი, რომელსაც სომხის დემოკრატიის წინაშე თავიანთი შოვინისტური პოლიტიკის წყალობით სასტიკი დანაშაული აქვს ჩადენილი, ასეთ პარტიას და მეორეს მხრით ბალშევიკები, რომლებიც არავითარ ნაციას არ სცნობენ „ლენინის დეკრეტით პირდაპირ სოციალიზმში დღესვე შედიან“.

აი ეს ორი ერთი მეორეს ანტიპოდი პარტია, ალბათ მდგომარეობის და გარემოების მიხედვით, თავიანთ მიზნების მისაღწევათ შეერთდა ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად და დარაზმული სიტყვით თუ პრესით იერიში-იერიშზე მოაქვთ ერთხმათ ჩვენზე.

ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს და არც გვაშინებს ის, რომ ჩვენ, მუშებს ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები გვებრძვიან, ეს ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება შემდეგშიაც, რახან ჩვენი ინტერნაციონალურ გზას, იდეას ვერ ურიგდებიან და ვერც შეურიგდებიან ვერასოდეს. ჩვენთვის, მუშებისათვის მხოლოდ საინტერესო ის არის, რომ როგორ მოხდა დაშნაკცუტიუნების გაბალშევიკება და ბალშევიკების გადაშნაკელება, რომლებიც დღეს ერთათ მიდიან მიიმღერიან?

აი კითხვა და გამოცანა მუშების წინაშე.

ამხ. მუშებო! აქ გამოსაცნობი ძნელი არაფერი არ არის, თუ კი ჩაუკვირდებით ოდნავ ჩვენს ცხოვრებას, რადგან თვით ცხოვრება ყველაფერს გვეუბნება.

ლენინის „მთავრობამ“, რომლებმაც ყველა ერის თვითგამორკვევას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, როგორც ნიკოლოზი მეორე ჩადიოდა, დაშნაკცუტუნებს ქაღალდზე დაწერილი ცარიელი დეკრეტით „ოსმალეთის სომხეთის“ განთავისუფლება უბოძა, ავტონომია მიანიჭა. დანარჩენი ამიერ-კავკასიის ერები კი დაივიწყა, თითქოს არც არსებობდენ. დაშნაკელების პარტიამაც ლენინის ცარიელი დეკრეტი სომხის ერის მსხნელ მალამოდ, ბაჯაღლო ოქროთ მიიღო და ბალშევიკებს ტაში დაუკრა, ნდობა გამოუცხადა, გვერდში ამოუდგა და ამით სხვა დანარჩენ ერის დემოკრატიას ჩამოშორდა, ერთი მთლიანი ფრონტი ამიერ-კავკასიისა დაარღვია. თავის გასამართლებლად ჩვენ, მენშევიკებს ბრალდება წამოგვიყენეს, თქვენ ცოტათი განაციონალისტდითო. დაშნაკელების პარტიისაგან ჩვენ არასოდეს არ ველოდით ბოლომდის დემოკრატიასთან სიარულს, მარა თუ იმდენათ ბეცი გამოდგებოდენ და ავანტიურისტ შაუმიან—ბალშევიკების ანკესზე წამოეგებოდენ, ეს კი არ გვეგონა. მაგრამ დაშნაკცუტიუნის პარტიისაგან თურმე ყველაფერი მოსალოდნელი ყოფილა და ჩვენც, რახან თვითონ ასე ინებეს, გზა დაგვილოცია.

ეხლა გადავხედოთ, გავეცნოთ თუ როგორ გვებრძვიან, რას გვაბრალებენ ჩვენ ქართველი ნაციონალისტთა პარტიები. სიტყვით თუ კალმით ქართველი ნაციონალისტები ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ ს.-დ. მენშევიკებმა ნამეტანი გადავაჭარბეთ ინტერნაციონალიზმში, და ქართველი ერის ბედი სულ დავივიწყეთ. ამიტომ ისინიც ერთხმათ, მხოლოდ მეორეს მხრით, გვებრძვიან, ď გვებრძვიან ყველა ჯურის ნაციონალისტებთან და დემაგოგ ბალშევიკებთან ერთათ. ერთი ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენ ცოტათ გავნაციონალისტდით, მეორე კი წინააღმდეგ, ინტერნაციონალიზმსაც კი გადააჭარბეთო, საკუთარი სამშობლოც დაივიწყეთო. მართალია ყველა ეს ბრალდება ჩვენს შესახებ?

როდესაც ყველა ჩვენ გვებრძვის, ჩვენს წინაშე კითხვა იბადება, რისთვის რათა, რა მიზეზისათვის არის, რომ ყველა ჩვენ მუშებს, ჩვენს იდეას ებრძვიან, თავს დაგვჩხავიან ამ კრიტიკულ მომენტის დროს, სომხის თუ ქართველის, რუსის თუ თათრის ნაციონალისტები, ანარქისტები თუ მონარქისტები, „ველიკო რუსის“ პარტია, ბალშევიკები, თუ შაუმიანკუზნეცოვის ავანტიურისტ პროვოკატორული პარტიები?

მიზეზი ასეთი იერიშისა ჩვენზე არის ის, რომ ჩვენი ნამდვილი ინტერნაციონალური, მუშათა კლასიური გზა, სოლიდარობა ყველა ერის დემოკრატიასთან არ მიგვიტოვებია. ეს გონებას უფრთხობს, მოსვენებას არ აძლევს, თავზარს სცემს ყველა მათ, და მუშათა კლასის გამარჯვებით დაშინებულნი, უკანასკნელი ძალღონით გვებრძვიან ჩვენ. მაგრამ ჩვენ უნდა ვამცნოთ ამ ნაციონალისტებს, ავანტიურისტ-დემაგოგებს, რომ ჩვენ არ გადაუხვევთ, არ შევდრკებით თქვენი იერიშებით და ჩვენს სწორს კლასიურ გზას გავყვებით ბოლომდის, და თუ შეგვებრძოლებიან, რა საშუალებითაც იქნება ის, ჩვენც იმავე საშუალებით, მხოლოდ უფრო ენერგიულათ გავცემთ ჩვენს მტრებს პასუხს. დასასრულ უნდა ვსთქვა ის, რომ ჩვენ, მუშებს, ყველა ეროვნების, რომლებიც ვიყრით თავს ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ, კარგათ გვაქვს შეგნებული ჩვენი პროლეტარული გზა და ხიდი და ჩვენი პროგრამის და მიხედვით მოვაწყობთ ყველა ერის საქმეს ისე, როგორც მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები და თქვენ ნაციონალისტებო ყველა ეროვნებისავ, და დემაგოგ ბალშევიკებო ნუ დაგვჩხავით თავზე შავი ყორნებივით, ჩვენ სწორ გზას ვერ აგვაცდენთ, ჩვენ ჩვენი ინტერესები კარგათ გვაქვს შეგნებული.

აკ პლებეიშვილი.

## რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე-VIII ყრილობა

(გაგრძელება)

**საღამოს სხდომა.**

თავმჯდომარეობს ამხ. **რ. არსენიძე.** ომის და ზავის საკითხის შესახებ მომხსენებლათ გამოდის ამხ. **რამიშვილი.** ამხანაგებო,—ამბობს ის, თქვენ კარგათ იცით, რომ ამ საკითხის შესახებ მსჯელობა უკვე მომხდარ ამბვის შემდეგ გვიხდება, რადგანაც დღეს ფაქტიურათ არავითარი სამხედრო მოქმედება არ ხდება; დღეს მთელი ფრონტი გაშიშვლებულია. ბალშევიკებმა, რომლებიც ჰპირდებოდენ ხალხს პურს და მშვიდობიანობას, თავის პოლიტიკით მიგვიყვანეს სრულს უძლურებამდის. ზავის მაგიერ რუსეთს დაუსრულებელ უბედურების ქსელში გაუყარეს თავი. ცხადია, ხალხს ძალიან სურდა ზავი და ამით საუცხოვოთ ისარგებლეს ბალშევიკებმა და დასცეს კერენსკის მთავრობა. მაგრამ ამით, როდი გათავებულა მთელი მოღვაწეობა ბალშევიკების ამ საკითხში. „კომისართა მთავრობამ“ დიდის რიხით და ტრაბახით აუწყა მსოფლიოს, რომ ისინი ფრთას შეაკვეცდენ მოკავშირეების იმპერიალისტურ პოლიტიკას და ცენტრალურ მთავრობებს რუსეთის რევოლიუციის ნების წინაშე წამოაჩოქებდენ და ასე დემოკრატიულ ზავს, ზავს უანექსიოს და უკონტრიბუციოს შეკრავდენ. მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, არც ერთი ამ დებულების გატარება ცხოვრებაში, „სახალხო კომისარებს“ არ შეეძლო... ანექსია და კონტრიბუცია—ეს ქვაკუთხედია ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური სახელმწიფოსი. უეჭველია ამ მთავარ პოზიციას არც ერთი მეომარ სახელმწიფოების მთავრობები არ დასთმობდა. ჩვენ ვიცით, როდესაც ინგლისი გამოვიდა მსოფლიო ომის ასპარეზზე, მან განაცხადა, რომ ხმალს იღებს ბელგიის ნეიტრალიტეტის დასაცავათ და ელზას ლორენის შესახებ ისტორიულ უსამართლობის საკითხის გადასაჭრელათ, სალიკვიდაციოთ. ერთი სიტყვით ინგლისი ყველა იმ ერებს, რომლებიც არ შედიოდა მის „უზენაეს მფარველობის“ ქვეშ აძლევდა და პირდებოდა თავისუფლებას, მაგრამ ეგვიპტეს, ინდოელებს და სხვებზე, რომლებიც ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკის ბრჭყალებში სულს ღაფავს კრინტიც კი არ დაუძრავს. აი ეს, სხვათა შორის, ნათლათ ახასიათებს იმპერიალისტურ პოლიტიკას ამა თუ იმ სახელმწიფოისას.

თუ დღეს კიდევ ბალშევიკები არიან მართველობის სათავეში, იქ პეტროგრადში, ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. დღეს ისინი ეყრდნობიან არა საერთოდ დემოკრატიას, არამედ „დაღლილ ხიშტებს“, რომლებიც დღეს არა ხვალ გამოეთიშებიან ბალშევიკების ავანტიურას. ჩვენ ვიცით, რომ მრავალი ქარხნის მუშებმა პეტროგრადში და მოსკოვში უარყვეს ლენინ—ტროცკის მთავრობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას მათი დამარცხება მოხდება მოკლე ხანში. ეს კი ამტკიცებს იმას, რომ მასსას კიდევ მიაჩნია შესაძლებლათ ლენინ-ტროცკისაგან ზავის ჩამოგდება. ცნობები, რომ კრილენკომ გამოაცხადა დემობილიზაცია და უკრაინაც კრავს სეპარატიულ ზავს, ქმნიან ჩვენთვის გამოუვალ მდგომარეობას. ჩვენ დღეს ვიმყოფებით რუსეთის ფრონტის გარეშე. არ არსებობს მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და ამ მიზეზით ჩვენ მიტოვებული ვრჩებით ჩვენი ძალების, ჩვენი თავის ამარად. ჩვენ ამავე დროს არ გვაქვს იმედი ზავის საკითხში დაგვიჭერს თუ არა მხარს ესა თუ ის პარტია. ჩვენ წინ სდგას საკითხი ოსმალეთთან სეპარატიული ზავის შეკვრის შესახებ.

ეხლა კითხვა სდგას, ვისთან უნდა გავმართოთ საზავო მოლაპარაკება? მარტო ოსმალეთთან თუ სხვა მეომარ სახელმწიფოებთან? ჩემის აზრით აუცილებლათ უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩვენს მოწინააღმდეგე კოალიციაში ითვლება. მე აქ არ შემიძლია დეტალიზაცია ვუყო ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც დავიცავთ მომავალ საზავო მოლაპარაკებაში, მაგრამ ჩვენ აუცილებლათ უნდა მოვითხოვოთ დემოკრატიული ზავი.

**ამხ. თევზაია** ამბობს, რომ ს. დ. ყრილობამ უნდა დასვას საკითხი: თუ ჩვენ შევკრავთ სეპარატიულ ზავს, ამით

ვავნებთ თუ არა ჩვენს დემოკრატიას და საერთაშორისო მოძრაობას? მე კი მგონია—ამბობს ორატორი—ამით ჩვენ არავითარ ზიანს არ მოუტანთ საერთაშორისო დემოკრატიას.

**ამხ. ფირუმოვი.** სეპარატიული ზავი, ეს ფაქტია, რომელსაც გვინდა თუ არ გვინდა ანგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო მომხსენებელს იმაში, რომ ზავი შევკრათ როგორიც არ უნდა იქნეს. მე მგონია ეს საკითხი დროს და გარემოების საქმეა.

**ამხ. აზატიანს** საჭიროთ მიაჩნია აგრარულ რეფორმის უმრავლესობის სასარგებლოთ გაყვანა, რომელიც რადიკალურათ გადასჭრიდა ზავის საკითხსაც. ჩვენ შეგვიძლია თუ არა აუცილებლათ უნდა დავიცვათ სომხის ხალხის ინტერესები ზავის ჩამოგდების დროს, ეს აუცილებელი. ეს ჩვენი მოვალეობაც არისო, აღნიშნავს ორატორი.

ამხ. მომხსენებელი უკანასკნელ სიტყვაში უპასუხებს ყველა ორატორებს და ამბობს, რომ ის სულაც არ სტოვებს უყურადღებოთ დემოკრატიული ზავის მოთხოვნას.

(მესამე სხდომა. 5 თებერვალი).

სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენებას კითხულობს ამხ. **ალ. ლომთათიძე.** ის ამბობს: რამდენათ ადვილია ეს საკითხი, იმდენათვე ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ რთულია საერთოდ ის პირობები, რომლებიც შობენ სოფლის დღევანდელ მდგომარეობას. დღეს მთელი ამიერ-კავკასია შეიძლება გავყოთ ორათ, ერთი—დასავლეთი და მეორე—აღმოსავლეთი; ამ ნაწილებში კი სულ სხვადასხვა ხასიათის მუშაობაა საჭირო. მას მოჰყავს აუარებელი საბუთები იმის დასამტკიცებლათ, რომ დღეს სხვადასხვა რეფორმების გაუყვანლობის მეოხებით დაიბადა ხალხში ის უთანხმოება, რომელიც ბოლოს და ბოლოს ანარქიულ ხასიათს იღებს. ერთ მთავარ მიზეზათ სოფლად თუ ქალაქათ პარტიულ მუშაობის შეფერხებისა მიაჩნია: ჩვენი ამხანაგების სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში დაბანდვა. ამიტომ,—ამბობს ორატორი,—შეიძლებოდა ზოგიერთ ორგანიზაციებიდან გამოგვეხმო ჩვენი ამხანაგები და მათ ადგილზე კი შესულიყვენ ნამდვილი დემოკრატები მიუხედავათ იმისა, აღიარებს თუ არა ს.-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას. აი ეს მოგვცემდა საშუალებას თავისუფალი ამხანაგები გაგვეგზავნა სოფლად პარტიულ მუშაობის საწარმოებლად. პარტიული მუშაობა სოფლად,—აი ქვა-კუთხედი ჩვენი არსებობისა და რევოლიუციის უზრუნველყოფისაო, დაათავა ორატორმა.

**ამხ. ჯუღელი.** ეთანხმება მომხსენებელს საერთო დებულებებში და ამბობს, რომ საჭიროა პარტიულმა კონფერენციამ დაარსოს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს პროვინციას წითელი გვარდიის მოწყობის და საერთო შეიარაღების საქმეში. მას საჭიროთ მიაჩნია შეიქმნეს პარტიული გვარდია და მოითხოვს მიღებულ იქმნეს სასტიკი ზომები, ყველა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც რევოლიუციას თავს ესხმიან.

უკანასკნელ სიტყვაში მომხსენებელი უპასუხებს ყველა ორატორებს და ამბობს, რომ ამხ. ჯუღელის წინადადება: შევაიარაღოთ ყველა პარტ. ამხანაგები, შევქნათ პარტიული გვარდია, ვერ დავეთანხმები. აქ მოჰყავს 1905 მაგალითები და ამბობს, სრულიად მართალი იყო ამხანაგი ჰუმბურიძე, როდესაც სთქვა აუცილებელია შევაიარაღოთ დემოკრატია მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ირგვლივო.

დაბოლოს ყრილობამ მიიღო რეზო- [illegible]

[illegible]

მთელი დემოკრატიის უფლების ფეხქვეშ გათელვათ. ამიტომ კრება ამ უპასუხისმგებლო პირთა წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს, და მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცდება დაიცვას სისხლის წვეთამდე დამფუძნებელი კრება, რომელიც გამომხატველია მთელი ხალხის ნება-სურვილისა.

შემდეგ მოხდა დელეგატის არჩევა ცენტრალურ კომიტეტში. დელეგატათ არჩეულ იქმნა ამხ. ერ. ლორია. შემდეგ ზოგიერთმა ამხანაგებმა მოუწოდეს ამხანაგ პარტიის წევრებს, რომ გამოიწერონ ყველამ ჩვენი ორგანო „ერთობა“. არ შემიძლია არ შევნიშნო აქაურ ამხანაგებს, რომ ჟურნალ-გაზეთებს ნაკლებათ ეტანებიან იმ დროს, როდესაც გურიის გლეხი უკანასკნელ კაპეიკს არ იშურებს, რომ გაზეთი გამოიწეროს.

**ჩახრუხული.**

# მუშათა შორის

**თფილისი.** თფილისის ტრამვაის მუშები 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ გაიყვნენ ორ მოპირდაპირე ბანაკათ: ერთ მხარეზე დადგენ სოციალისტური ელემენტები. სოციალ-დემოკრატ მუშების მეთაურობით, და მეორე მხარეზე შეუგნებელი მუშები. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა მოწინავე ამხანაგებისათვის ტრამვაიაში. პირველი შავრაზმელთა მსხვერპლები გახდენ 1906 წელს 9 იანვარის გაფიცვისათვის 13 საუკეთესო ამხანაგები, რომელთაც არხანგელის გუბერნიისაკენ უკრეს თავი. ამ დღიდან იწყება ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრამვაის შეგნებულ მუშებისათვის. შექმნეს ნამდვილი ნადირობა მოწინავე მუშებზე. იჭერდენ ჯგუფ-ჯგუფათ. ყველა წევრს „რუსთა კავშირისას“ განსაკუთრებული უფლებები ქონდათ მინიჭებული ტრამვაიელთა დასასჯელათ.

1908 წ. ერთბაშათ 70 საუკეთესო ამხანაგები დაატუსაღეს და გადაასახლეს.

ასე მიმდინარეობდა ტრამვაის მუშების დუხჭირი ყოფა 1909 წლამდე. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ კიდევ უარესის მოლოდინში ვიყავით. 1909 წ. ტრამვაის მუშებისათვის ეკონომიურის მხრით საბედისწერო შეიქნა.

1913 წლის ეკონომიური გაფიცვის დროს 16 კაცს ამოაყოფიეს ციხეში თავი, რომლებიც გასამართლებულ იქმნენ [illegible]

დენ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შავრაზმელები და მათი დამქაშები ერთის დაკვრით გარდაიქცნენ სოციალისტ-რევოლიუციონერებათ.

მიუხედავათ ამისა თავიანთი შავრაზმული არსენალი ძველებურათ მთლათ გამოაფინეს მუშათა საწინააღმდეგოთ ათასნაირი პროვოკაციის სახით და მთლათ განახორციელეს გოროდცევ-ტიმოშკინების პოგრომული პოლიტიკა. ისე დღე არ გაივლის ტრამვაიში, რომ ამ ვაჟბატონებმა მორიგი პროვოკაციონული გამოსვლა არ მოახდინონ და მთელი ანარქია და არევ-დარევა არ შეიტანონ, როგორც მუშებში, ისე წარმოებაში. მაგალითისათვის მოვიგონოთ 30 იანვრის მათ პროვოკაციას, რის წყალობითაც ვაგონების გამოშვება ნახევარი საათით დაგვიანდა და თუ არა მოწინავე მუშების მეცადინეობა, ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე.

ვინ არ იცნობდა და იცნობს ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებში ყოფილ სტრაჟნიკ-ურიადნიკს ავდეევს, რომლის კისერზედაც ათეულ-ასეული უდანაშაულო სოფლელებისა და მუშების სისხლია და რომელიც ნიკოლოზ რომანოვის აგენტების წყალობით დიდი და პატარა ყელის მედლებითაა დაჯილდოვებული, და რომლის ახლოს გავლას და დალაპარაკებას ყოველი პატიოსანი მუშა ურთხოდა. ან მეორე გმირი ვატმანი დიუბარი, ეხლა კონდუქტორი, რომლის შიშითაც ყველა ჩვენთაგანი ძრწოდა იმ წყეულ დროს, როცა მათი თარეში ბატონობდა. ან ის ბუროვიკები, ლაბაჩოვები, კოზხიევები და მრავალი სხვები, რომელთა შესახებ ბევრის თქმა და დაწერა შეიძლებოდა და რომლებიც ეხლა ტრამვაიაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას ამშვენებენ.

ეხლა ვეკითხებით სოციალისტ-რევოლიუციონერთა თფილისის კომიტეტს და საზოგადოთ ყველა იდეურ სოციალისტ-რევოლიუციონერს, თუ რამდენათ შეეფერება სოციალისტურ პარტიას და მით უმეტეს ისეთს ძველ სახელოვანს, როგორსაც ვიცნობთ მას წარსულში.

**საყორნიელი.**

**თფილისის საქონლის სადგური.** 29 იანვარს მოხდა თფილისის საქონლის სადგურის მუშათა კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლ დიმ. ცინცაბაძემ. მან აღნიშნა რკინის გზის დღევანდელი მდგომარეობა და მასთან აუხსნა ხალხს ფულის მიუღებლობის მიზეზები თუ რამ გამოიწვია ამ დრომდე ჯამაგირის მიუღებლობა. მან აუხსნა, რომ ცენტრი ხელში ჩაიგდეს უხეშმა ძალებმა და ფულს კი არ აძლევენ არავის, ვინც არ წამოეგება მათ გადმოსროლილ ანკესებზე. შეიძლება ამას ცუდი შნდეგი მოჰყვეს, მაგრამ მე სრული დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საქონლის სადგურის მუშები როგორც ამ დრომდე, შემდეგშიაც ანგარიშს გაუწევენ შექმნილ მდგომარეობას, რომელიც არის გამოწვეული ინტრიგანების და კონტრ-რევოლიუციონერების წყალობითო. ჩვენ ამხანაგები, მართალია გაჭირვებას განვიცდით, მართალია, ჩვენ შიმშილს განვიცდით და ჩვენი არსებობა ამ ნიადაგზე შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხია დღეს, ამისათვის ჩვენ გვმართებს სწორი ნაბიჯი და რევოლიუციის სამსახური. ჯამაგირების შესახებ ამიერ კავკასიის კომისარიატი დაბეჯითებით გვპირდება, რომ ჩქარა გვექნება ფული ადგილობრივი ბონები, რომლითაც უნდა დავაკმაყოფილოთ რკინის გზის მოსამსახურებიო და მასთან ერთდროული დახმარება ერგებათ მათო.

შემდეგ მოხდა არჩევნები პროფესიონალური კომიტეტისა. წამოყენებული იყო მეუმრავლესეების მხრიდან ბიკ. სიხარულიძე, ივანე სიხარულიძე, ხარიტონ სიხარულიძე, ნიკოლოზ კობიძე. სოც.-დემ. მენშევიკების მხრიდან: გრიგოლ ცინცაბაძე, იოსებ ბერძენიშვილი, იაგორ ასამბაძე, იაგორ ორმოცაძე, დიმიტრი ქლენტი. აირჩიეს უკანასკნელნი.

**საშა ქრისტინეშვილი.**

# პროვინცია

**თელავი.** 26 იანვარს ღამით თელავს ეწვია „ლენინის პროლეტარიატი“, რომელსაც მოლანდებია, ვითომ თელავის კომისარს ჩაუსვამს ციხეში ჯარისკაცები. ამ მიზეზით 27 იანვარს დარაზმულან ორმოცამდის ჯარისკაცები და შემოარტყეს ალყა თელავის კომისარიატს და თხოულობდნენ ციხის კარების გაღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისარიატს განადგურებას უპირებდნენ. რის ვაი ვაგლახით რამდენიმე შეგნებულმა პირებმა გადაანარჩუნეს თელავი უბედურებას, მაგრამ მაინც მეორე მხრით განაგრძეს თავიანთი საქმენი საგმირონი. მოედვნენ ქუჩებში, ყაზარმებში და ყველას აგლიჯეს პაგონები, ზოგს ფარაჯებიც კი ჩამოაფხრიწეს და მით განახორციელეს „სოციალიზმი“. ამ ინციდენტის გამო, კვირას 28 იანვარს, მოხდა თელავის ჯარისკაცთა ყაზარმებთან ჯარისკაცთა მიტინგი მ. ჯ. კ. საბჭოს ხელმძღვანელობით, სადაც ილაპარაკეს ორატორებმა. მარა სამწუხაროთ, ზემოხსენებულ „ლენინის გმირებზე“ ვერაფერმა გასჭრა. ყვირიან: კომისარები და მილიციონერები ჩვენი მტრები არიან, ძველი პოლიციელია, არღნით და გარმონით ქეიფს გვიშლიანო და სხვა. მერე ადის ტრიბუნაზე ერთი „ლენინის გმირი“ და ამბობს: „ამხანაგებო, ჩვენ თვეში ხუთი მანეთი გვაქვს, ეს ჩვენ რას გაგვიხდება ორი ბოთლი ღვინოც არ მოგვდის და განა ამითი ცხოვრება შეიძლებაო“. მეორე „გმირი“ გამოჩნდა ტრიბუნაზე და ამბობს: „ეს ამხანაგი მოსტყუვდა, რომ ღვინო ახსენა, მარა მართლაც განა ეს სამართალია, რომ ჩვენ ხუთი მანეთი გვაქვს და აფიცრებს კი ორმოცი თუმანი, იმათ უნდა მოაკლდეს და ჩვენ მოგვეცეს და სხვა“. ადის ტრიბუნაზე მესამე გმირი, სჭექს და ქუხს: „რევოლიუცია ახლა იწყება ამხანაგებო! მართალია, ჩვენ გუშინ პაგონები დავაგლეჯეთ აფიცრებს, მაგრამ დღეს უყურებთ აფიცრები უპაგონებოთაც ისევ აფიცრებათ დარჩებიან! ეს არ კმარა, არა, აფიცრები სალდათებათ უნდა გადავაქციოთ! აი ამას მოითხოვს თანასწორობა“!

**დამსწრე.**

2 თებერვალს თელავში მოხდა კოოპერატივების წარმომადგენელთა კრება და მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია.

1) ყრილობამ ერთსულოვნათ საჭიროთ აღიარა, ყოველნაირი დახმარება გაუწიოს ეროვნულ საბჭოს მისი ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამასთანავე ერთათ ყრილობა აღნიშნავს, რომ საქმის კეთილათ დასაგვირგვინებლად საჭიროა ეროვნულმა საბჭომ უფრო გაბედული ეროვნული პოლიტიკა აწარმოოს.

2) ყრილობამ სასურველათ სცნო აირჩეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც კავშირთან ერთათ დაუყონებლივ ზომებს მიიღებს, რათა გაიმართოს ყრილობა იმ კოოპერატივთა წარმომადგენელებისა, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაესწრენ, ან დაიგზავნეს ზემოხსენებულ კოოპერატივთა საზოგადო კრებაზე.

3) ყრილობა სასურველათ სცნობს, რათა კოოპერატიულმა დაწესებულებებმა ნავაჭრ საქონელს დაადოს მცირეოდენი პროცენტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქონებათა გასაძლიერებლათ. აგრეთვე ყრილობას საჭიროთ მიაჩნია გასწიოს პროპაგანდა, რომ წევრებმა შენახული ფულის პროცენტი გადასდონ ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ, ამასთანავე ერთათ, რადგანაც ხალხში ფული ბევრია მოგროვილი და დღევანდელს პირობებში უსარგებლოდ დევს, საჭიროა ეროვნულმა საბჭომ მოაწყოს შინაური სესხი და ეს სესხი უზრუნველჰყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ქონებით.

2 თებერვალს თელავში მოხდა კახეთის მევენახეთა ამხანაგობის საზოგადო კრება და მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

1) ხუთი პროცენტი წევრის მიერ ჩაბარებულ ღვინის ფასისა გადადებულ იქნას საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ. (ეს დაახლოვებით შეადგენს 60 ათას მანეთს და მისი მიღება საბოლოოთ მოხერხდება საოპერაციო წლის შემდეგ).

2) პირველ თებერვლიდან ბოთლზე ორი შაური პრეისკურანტის ფასის მიხედვით გადაიდოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ. (ეს შეადგენს დაახლოვებით 32 ათას მანეთს და მიღება მოხერხდება ყოველ თვე, გაყიდულ ღვინის რაოდენობის კვალობაზე).

**ბათუმი.** თანახმათ ბათუმის ამხანაგების მოწოდებისა, რევოლიუციონური წესრიგის დასაცავათ 22 იანვარს ოზურგეთიდან 150 კაცი ჩამოვიდა ბათუმში. რაზმს მიესალმენ ბათუმის ამხანაგები. ქართველ ჯარისკაცების სახელით ამხ. ჰყონია, ბათუმის ს.-დ. მენშევიკების სახელით ამხ. გოგეშვილი. რაზმის სახელით ილაპარაკა ამხ. ვარლამ კალანდარიშვილმა, დიომიდე გოგოლაშვილმა და სიმონ სურგულაძემ, დაარსდა მეორე ქართულ პოლკის კომიტეტი. კომიტეტში შედის თვითეულ როტიდან ორი კაცი. ამხანაგ ჯარისკაცებმა მიმართეს რაზმს, რომ ორი წარმომადგენელი გაეგზავნა გადამჭრელი ხმის უფლებით კომიტეტში: რაზმიდან ერთხმათ არჩეულ იქნენ ამხ. ვარლამ კალანდარიშვილი და სიმონ სურგულაძე. პოლკის კომიტეტი შეუდგა მუშაობას. როტის კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ირაკლი სალუქვაძე, კოწია მესხიშვილი, ალფესი ხომერიკი, სილევან ლომჯარია და ნიკიფორე ჭანუყვაძე. როტის კამანდირათ აირჩიეს რაზმის წევრი შტაბსკაპიტანი ივლიანე ღლონტი, თანაშემწეთ—მიხაკო ურუშაძე, ფერშლათ მანასე ჰელიძე, კაპტინარიუსათ—გიორგი გოგორიძე, არტელშჩიკათ—გრიგოლ კახიანი მდივნათ გაბრიელ გოგოლაშვილი. თოფები დაგვირიგეს, შევუდექით ვარჯიშობას. გვაქვს საკუთარი სამკითხველო, ვღებულობთ სხვადასხვა გაზეთებს. სამკითხველოში შესაფერი წიგნებიც მოგვეპოვება. ამხანაგ ჯარისკაცებთან კარგი განწყობილება გვაქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგი ჯარისკაცების აღელვებას, რომლებსაც რაღაც მიზეზის გამო არ სიამოვნობს ჩვენი მოსვლა. ჯარი პოზიციიდან სისტემატიურათ მოდის სხვადასხვა ნადავლით დატვირთული. როგორც ამბობენ აუარებელი ქონება არის დარჩენილი ტრაპიზონში, რიზეში და სხვა ადგილებში.

**სიმონ სურგულაძე.**

**ჭიათურა.** სასურსათო კრიზისმა აქაც იჩინა თავი. დღეს როდესაც ქვეყანა განსაცდელშია, სასურსათო კომიტეტი მოითხოვს მუშაობას, მეტ ენერგიას, რომ უზრუნველყოს მცხოვრებლები. დღეში მაინც ნახევარი გირვანქა პურით, დღემდე კაცის თავზე იძლეოდენ ნახევარ გირვანქას, დღეს ისიც გამოილია და ვინ იცის როდის გაგვილიმებს ბედი, რომ კუჭი დავაკმაყოფილოთ, აღარ არის პური ჩვენი არსებისა, აღარ არის ხორბალი დასაფქვავი, აღარ არის სიმინდი. ერთი სიტყვით აღარ იშოვება არაფერი ბაზარზე, და ფქვილი შემოაქვთ ძალიან ცოტა ისიც კი ბათმანი ფასობს ჯერ-ჯერობით 15 მანეთი, და თუ სოფლელებმა გაიგეს, რომ პური აღარ არის მთლათ მეხრუკს მოგვიჭერენ და ერთი ასად გახდიან სიმინდის ფასს. შიმშილის აჩრდილი განადგურებას უქადის ჭიათურას, მოსამსახურეებს და მუშებს, სად არის ხსნა, სად არის გამოსავალი, ჩემი აზრით საჭიროა დაინიშნოს ინსტრუქტორები, გაიგონ რაოდენობა პურისა, სიმინდისა ლობიოსი, და მოახდინონ რეკვიზიცია, თორემ მეტი ხსნა აღარ არის.

**ა. მეგრელაძე.**

# ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარის-კაცი გეორგ ადამოვი მსახურებდა მე-5 სომეხთა დამკვრელ პოლკში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, სთხოვენ აცნობონ მშობლებს გაზეთის საშუალებით.

— ჯარის-კაცი ბესარიონ სტეფანეს ძე თოდუა, გაიწვიეს სამხედრო სამსახურში 1915 წ. პირველათ იგი მსახურებდა განჯაში სათადარიგო ბატალიონში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვსთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: М. Хабумэ, Зугдидскаго уѣзда, Антону Сабахтарашвили.

# ჩვენი ფოსტა

იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც სხვა და სხვა წერილებს გვიგზავნიან მადლობის გამოსაცხადებლათ, ვაცხადებთ, რომ ადგილის უქონლობის გამო რედაქციამ დიდი ხანია შესწყვიტა ამ გვარი წერილების ბეჭდვა.


## ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ქალი
## რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## ექიმი ვ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებზა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

## ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
## გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი
## ზ. დონხინი
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
**თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,**
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

სამკურნალო კაბინეთი ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

# მოქალაქენო!
ამით გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 1918 წელს 1 იანვრიდან, თამბაქოს ფაბრიკა ძმათა ფირალოვებისა, აღებულია იჯარით გარეგინ ვართანის ძე ბუზოღლის მიერ.

ჩვენ გვაქვს დამზადებული აუარებელი, საუკეთესო სოხუმის, მაიკოპის და ყირიმის თამბაქოები, აგრეთვე ჩვენგან შეძენილია ნამდვილი თათრული თამბაქო, საჯაროთ გაყიდული სევასტოპოლში, როგორც სამხედრო ნადავლი.

მქონე დიდის გამოცდილებისა თამბაქოს საქმეში, თანავშრომლობდით მრავალ ხნის განმავლობაში და ვაწოდებდით ფურცლათ თამბაქოს რუსეთის დიდ ფაბრიკებს, აგრეთვე შევისწავლეთ ადგილობრივ შერჩევა და არევა (МѢШКА) თამბაქოსი—ეგვიპტეში და ამერიკაში.

ვბედავთ ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ფირმის მიერ გამოშვებული ნაწარმოები, როგორც ფასით, ისე ღირსებითაც იქნება კონკურენციის გარეშე.

იმედი გვაქვს, რომ არ დაგვტოვებთ უყურადღებოთ და ღირს გვყოფთ შეკვეთითა.

ფაბრიკის კანტორა და თამბაქოს მაღაზია ღიაა: დილის 9 ს-დან 2-მდე, ნაშუადღევის 4-დან 6 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, საკ. სახ. ფოსტ. ყუთი № 20.

ტელეგრამის ადრესი: ქუთაისი, თამბაქოს ფაბრიკა ბუზოღლი.

(2—2) პატივისცემით რწმუნებული გ. ვ. ბუზოღლისა, ა. გ. ტკეციშვილი.

# დამზადებულია კოლექციებათ ახალი ნაცადი
# საბოსტნო თესლები
1-ლი კოლექცია,—ამიერ-კავკასიის მთა-გორიან ადგილებში გამოსადეგი, შემდგარი ოცი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან, ღირს—120 მანეთი.

2-რე კოლექცია—დაბალ ადგილებისათვის, ოცდაექვსი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან შემდგარი ღირს—160 მანეთი.

კოლექცია მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით. კოოპერატივებს და დაწესებულებებს თესლი გაეგზავნებათ მთელი ფასის 75 პროც. მიღების შემდეგ. დანარჩენი კი ფასდადებით, კერძო პირებს კი 20 პროც. უფრო ძვირად და მთელი ფასის მიღების შემდეგ.

დაკვეთა მიიღება 1 მარტამდე, დაკვეთილი თესლები დაეგზავნებათ მსურველთ რიგ-რიგობით.

დაკვეთა და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бебутовская № 6 контора „Земля и Трудъ“, агроному А. А. Атанасіану. (5—2)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.